საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმი

რელიგიის ისტორია და ათეისტური პროპაგანდა საქართველოში

(წიგნი VII)

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1982

~~86.1 (2 Г)~~
2 (4Ч.922) (09)+215 (4Ч.922) + 289
ბ 399

კრებულში გაანალიზებულია საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა სეკულარიზაციის პროცესის კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლის ზოგიერთი შედეგი; შესწავლილია ათეისტური მუშაობის ხერხები და მეთოდები სექტანტებს შორის თანამედროვე ეტაპზე.

კრებული გათვალისწინებულია როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე რელიგიის ისტორიითა და ათეიზმის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ბ $\frac{10509}{М\ 607\ (05)-82}$ 220—82 ©გამომცემლობა „მეცნიერება", 1982

მ. გუგუტიშვილი

საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა სეკულარიზაციის პროცესის კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლის ზოგიერთი შედეგი

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანეს ფუნქციას შეადგენს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე სოციალური პროცესების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა. ერთი ასეთი პროცესთაგანია რელიგიური გადმონაშთების აღმოფხვრა და მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ჩვენი საზოგადოების ყველა წევრში.

ეს პრობლემა წარმოადგენს საზოგადოების სულიერი ცხოვრების მეცნიერული მართვის საერთო პრობლემის შემადგენელ ნაწილს. მისი შესწავლა ავლენს საზოგადოებრივ ურთიერთობებში შემორჩენილი გადმონაშთური ფორმების (მათ შორის რელიგიური) ორგანულ კავშირს ყოფის სოციალურ მოვლენებთან. აქედან გამომდინარე, წარსულის მავნე გადმონაშთების დაძლევის საკითხი უშუალოდ უკავშირდება რიგი სოციალურ-ეკონომიკური, ზნეობრივი, ეროვნული, კულტურული და ყოფითი პრობლემების კომპლექსური გადაჭრის აუცილებლობას. ამიტომ, ცალკეული რელიგიური გადმონაშთების თანამედროვე ყოფაში შემორჩენის მიზეზების ახსნა შესაძლებელი ხდება მხოლოდ სოციალური ცხოვრების ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა ერთობლიობის ანალიზიდან გამომდინარე.

ვ. ი. ლენინი გადაჭრით მოითხოვდა რელიგიასთან ბრძოლის წარმართვას მყარ მეცნიერულ საფუძველზე[1], რაც გულისხმობს შემდეგ ფაქტორებს: რელიგიის სოციალური ბუნების, მისი აღმოცენების, განვითარების, ფუნქციონირებისა და კვდომის კანონზომიერების სწორ გაგებას; რელიგიის მდგომარეობის შესწავლას ადგილი-

[1] Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 54, с. 440.

სა და დროის კონკრეტულ ვითარებაში: მისი ცალკეული ელემენტების სტრუქტურის, მათი ურთიერთკავშირისა და სხვა სოციალურ მოვლენებთან ურთიერთმოქმედების დადგენას; თანამედროვე მორწმუნის ქცევისა და ფსიქოლოგიის თავისებურებების გამოვლინებას, მშრომელთა ათეისტური აღზრდის სისტემის ეფექტური ფორმებისა და მეთოდების მიგნებასა და სხვ.

ამ პირობების რეალიზაციის საქმეში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რელიგიის სოციოლოგიურ შესწავლას.

სოციოლოგიური გამოკვლევები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ რელიგიის სახეცვლილებას, მისი გავლენისაგან ადამიანთა განთავისუფლების პროცესის ტენდენციასა და დინამიკას; ახლებურად დავინახოთ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში რელიგიურობის გამოვლინების დონე, ხასიათი და ხარისხი.

კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის შედეგები აღრმავებს, აქტიცებს ან, პირიქით, უარყოფს მოცემულ საკითხზე არსებულ მეცნიერულ ჰიპოთეზებს. ეს შედეგები კვლევის მასშტაბურობისა და მეცნიერული სიღრმის მიხედვით შეიძლება იქცეს ზოგადთეორიული და პრაქტიკული ხასიათის დასკვნების შემუშავების ბაზად, რაც თავის მხრივ აუცილებელია სოციალური მართვის ამოცანების გადასაჭრელად.

წინამდებარე ნაშრომი შესრულდა ქ. თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმო გაერთიანებაში ჩატარებული კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევით მიღებული შედეგების განზოგადების საფუძველზე. გამოკვლეულ იქნა საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა ერთი ნაწილი—სულ 748 კაცი. აქედან—38,9% მამაკაცი, ხოლო 61,1% — ქალი.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, მორწმუნეთა რელიგიურობის დონეზე მოქმედებას ახდენს ასაკი, სქესი, განათლება, პროფესიული კვალიფიკაცია, შრომითი საქმიანობა, ყოფის პირობები, მიკროწრე და სხვა მისთანა. ეს მონაცემები არ შეიძლება ერთნაირი იყოს სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასებსა და ჯგუფებში — მუშა-მოსამსახურეებში, კოლმეურნე გლეხობაში, ქალებში, მამაკაცებში და ა. შ. თავის მხრივ, არც მორწმუნეებზე რელიგიური კომპლექსის ზემოქმედების ხარისხია თანაბარი. ამიტომ, ათეისტური მუშაობის პრაქტიკისათვის აუცილებელია მშრომელთა მეცნიერული დიფერენციაცია ცალკეულ მსოფლმხედველობრივ ჯგუფებად ანუ ტიპებად მათი რელიგიისა და ათეიზმისადმი დამოკიდებულების მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კლასიფიკაციას მათი ათეიზმის, სეკულარიზაციის, მორწმუნეობის ხარისხისა და პრაქტიკული საქმიანობის რელიგიური მოტივაციის დონიდან გამომდინარე.

ადამიანთა მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური ტიპოლოგია ხორციელდება იმ არსებითი ნიშნების გათვალისწინებით, რომლებიც შკვეთრად წარმოაჩენს პიროვნების სოციალურ სახეს. ადამიანთა დაჯგუფება რელიგიისა და ათეიზმისადმი დამოკიდებულების მიხედვით საშუალებას იძლევა უფრო დეტალურად შევისწავლოთ რელიგიური იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიის ყველაზე გამძლე ელემენტები, რელიგიურობის გამოვლინების სპეციფიკური თავისებურებები და ცალკეულ პიროვნებათა მორწმუნეობის ინდივიდუალური მოტივები; დავადგინოთ რელიგიური და არარელიგიური ნიშნების შეფარდებისა და ურთიერთგავლენის ხარისხი ადამიანის შეგნებასა და ქცევაში, დავსახოთ მათი საწინააღმდეგო ღონისძიებები.

ცხრილი 1

საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კლასიფიკაცია მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური თვალსაზრისით	სულ %
ათეისტები	9,9
არამორწმუნეები ანუ სტიქიური ათეისტები	42,4
ინდიფერენტულები	20,6
მერყეები	11,4
მორწმუნეები	6,0

მოცემული კლასიფიკაცია, რასაკვირველია, მიახლოებითია და არა აბსოლუტური. რეალურ ცხოვრებაში აღნიშნულ ჯგუფებს შიგნითაც არსებობს მსოფლმხედველობრივი გრადაციები, მაგრამ მათი ზედმეტი დაქუცმაცება სოციოლოგიური კვლევის დროს ართულებს მასალის შეკრებისა და დამუშავების პროცესს და ფაქტიურად არ იძლევა განსხვავებულ მონაცემებს მასთან შედარებით, რაც ცდისპირთა ჯგუფების ნაკლები დანაწევრებით მივიღეთ.

ზემოაღნიშნული ხუთი ჯგუფიდან პირველი სამი შეადგენს საწარმო კოლექტივის არარელიგიურ ნაწილს, ბოლო ორი — რელიგიურს.

საწარმოს მშრომელების დამოკიდებულება რელიგიისა და ათეიზმისადმი გამოაელინა ანკეტის კითხვებზე გაცემული პასუხების ანალიზმა. მართალია, ცდისპირთა თვითაღიარების ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი ნაკლები გვქონდა (მაგალითად, რა აიძულებს ათეისტს თავი მორწმუნედ გამოაცხადოს, ანდა პირიქით), მაგრამ, მიუხედავად ამისა, პასუხების სისწორე მაინც შემოწმდა გვერდითი კითხვების დახმარებით (მაგალითად, არ შეიძლება პიროვნება ათეისტი იყოს და ამავე დროს აღიარებდეს ღმერთის ან სხვა ზებუნებრივი ძალების არსებობას და სხვ.)

პიროვნების მსოფლმხედველობაში რელიგიური ან ათეისტური ნიშნების გამოსაელინებლად ანკეტაში შეტანილ იქნა შემდეგი ძირითადი კითხვები: „თუ გჯერათ ღმერთის არსებობის“, როგორ აფასებთ რელიგიის როლს საზოგადოებისა და ცალკეულ ადამიანთა ცხოვრებაში“, „როგორია თქვენი აზრი რელიგიის მომავლის შესახებ“, „როგორია თქვენი აზრი ოჯახში რელიგიური აღზრდის შესახებ“ და ა. შ.

ცდისპირის ქცევაში რწმენის ან ათეიზმის ელემენტების დასადასტურებლად დაისვა შესაბამისი კითხვები: „თუ დადიხართ მოქმედ ეკლესიაში (სამლოცველო სახლში),“ „თუ მონაწილეობთ რელიგიურ დღესასწაულებში ან რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებაში“ და ა. შ. ამ კითხვებზე მიღებული პასუხებით დგინდება ცდისპირის საკულტო პრაქტიკაში მონაწილეობის ფაქტი და მისი მამოძრავებელი მოტივები.

ყოფითი რელიგიურობის გამოვლინებას ხელი შეუწყო შემდეგ კითხვებზე მიღებულმა პასუხებმა: „თუ გაქვთ ოჯახში კულტის საგნები და რა მიზანს ემსახურება ისინი“, „მარხულობთ თუ არა“.

პიროვნების ცრუმორწმუნეობისადმი დამოკიდებულების გასარკვევად ანკეტაში შეტანილი იყო კითხვები: „თუ გჯერათ მკითხაობის,“ „მიმართავთ თუ არა მკითხავებს“.

იმ მიკროგარემოს ზემოქმედების დასადგენად, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება, ანკეტაში ჩართულ იქნა კითხვები, რომლებიც არკვევს ცდისპირის ოჯახის წევრების, უახლოესი ნათესავების, მეზობლების რელიგიურობისა თუ არამორწმუნეობის დონეს.

სეკულარიზაციის პროცესზე განათლების როლის დასადგენად დასმულ იქნა კითხვები: რა განათლება აქვს ცდისპირს, ჩართულია თუ არა იგი გამოკითხვის მომენტში სახალხო განათლების ქსელში და რა სახით, სარგებლობს თუ არა საზოგადოებრივი ბიბლიო-

თეკებით, რომელი ჟურნალ-გაზეთები აქვს გამოწერილი, რა რუბრიკებით არის უფრო მეტად დაინტერესებული და ა. შ.

სეკულარიზაციის პროცესზე საზოგადოების სოციალური სტრუქტურის გავლენის დასადგენად ანკეტაში შეტანილია კითხვები, რომლებიც ასახავს ცდისპირის სოციალურ მდგომარეობას, მისი შრომის ხასიათსა და კვალიფიკაციის ხარისხს.

პიროვნების სოციალური აქტიურობის მაჩვენებელია მისი მონაწილეობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება; სხვადასხვა სახის სოცშეჯიბრებებში, საზოგადოებრივ მუშაობაში, კრებებსა და სხდომებში მონაწილეობა, კვალიფიკაციისა და პოლიტიკური დონის ამაღლება.

პიროვნების ათეისტური აქტიურობისა და მეცნიერულ-მატერიალისტური აღზრდის იმ ფორმების დასადგენად, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაზე, ანკეტაში შეტანილია კითხვები: „თუ კითხულობთ ათეისტურ ლიტერატურას“, „თუ დადიხართ ათეისტურ ლექცია-საღამოებზე და სხვა ღონისძიებებზე“, „თუ იღებთ მონაწილეობას ათეისტურ მუშაობაში“.

ცდისპირთა თვითაღიარების მეთოდით მიღებული ციფრობრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ მშრომელთა დიდი უმეტესობა საკვლევ ობიექტზე თავისუფალია რელიგიის გავლენისაგან. მხოლოდ მცირე ნაწილი ჯერ კიდევ რჩება რელიგიური მსოფლმხედველობის პოზიციებზე. მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა არა მხოლოდ მორწმუნეთა რაოდენობრივი შემცირების ფაქტის კონსტატაცია, არამედ იმის დადგენაც, თუ რა ფორმით ვლინდება ადამიანის რელიგიურობა და ათეიზმი, როგორია თანამედროვე ათეისტისა თუ მორწმუნის შეგნებისა და ქცევის სპეციფიკური თავისებურებები.

როგორც მიღებული კლასიფიკაცია გვიჩვენებს, ათეისტები და არამორწმუნე ანუ სტიქიური ათეისტები ერთიანდებიან სხვადასხვა ტიპოლოგიურ ჯგუფებში. ათეისტებს შეგნებული აქვთ რელიგიის რეაქციული არსი და როლი საზოგადოების ცხოვრებაში. ისინი დასაბუთებულად, შეგნებულად უარყოფენ ღმერთის, ზებუნებრივი ძალებისა და მათთან დაკავშირებული ატრიბუტების არსებობას, მტკიცედ დგანან მატერიალისტური მსოფლმხედველობის პოზიციებზე, ამ პოზიციებიდან ხსნიან სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს, გამოირჩევიან მაღალი ზოგადსაგანმანათლებლო დონით, უმეტესწილად კარგად ერკვევიან მეცნიერული ათეიზმის,

საბუნებისმეტყველო და მარქსისტული სოციოლოგიის საკითხებშიჯ
რელიგიას თვლიან მავნე საზოგადოებრივ მოვლენად. ათეისტების
მატერიალისტური შეხედულებები განაპირობებს შესაბამის ათეის-
ტურ ქცევას: ისინი აღიარებენ მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის
აუცილებლობას, ეწევიან აქტიურ ანტირელიგიურ პროპაგანდას,
დაუნდობლად ილაშქრებენ რელიგიური იდეოლოგიისა და მისი
ყოველგვარი პრაქტიკული გამოვლინების წინააღმდეგ, ნეგატიურ
დამოკიდებულებას იჩენენ მისტიკისა და ცრუმორწმუნეობისადმი.

„სტიქიური ათეისტები" მსოფლმხედველობით ათეიზმის
პოზიციებზე დგანან, ისინი უარყოფენ ღმერთისა და სხვა დანარჩე-
ნი ზებუნებრივი ძალების რწმენას, შეგნებული აქვთ რელიგიის უარ-
ყოფითი როლი საზოგადოების ცხოვრებაში, თეოლოგიური და მეც-
ნიერული მსოფლმხედველობის შეუსაბამობა, რელიგიური ცრუ-
რწმენების მავნეობა. „სტიქიური ათეისტების" არათანმიმდევრულ-
ობა გამოიხატება მათი საერთო მომზადების, კერძოდ, მეცნიერული
ათეიზმის საფუძვლების ცოდნის დაბალ დონეში, რის გამოც ვერ
იჩენენ ათეისტურ აქტიურობას, ყოველგვარი ანტირელიგიური
ღონისძიებებისაგან პრაქტიკულად განზე დგანან, თვლიან, რომ რე-
ლიგიის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ვიწრო სპეციალისტების,
მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტების საქმეა.

არამორწმუნეთა ჯგუფში შემავალი „ინდიფერენტულები" ათე-
იზმისა და რელიგიისადმი ავლენენ სპეციფიკურ დამოკიდებულე-
ბას. მათთვის დამახასიათებელია მსოფლმხედველობრივად შეუცნო-
ბელი „ნეიტრალიტეტი" როგორც რელიგიის, ისე ათეიზმის მიმართ.
„ინდიფერენტულების" უმეტესობა თვლის, რომ რელიგიას საზო-
გადოებისა და პიროვნებისათვის არც სარგებლობა მოაქვს და არც
ზიანი. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს არა აქვთ მტკიცე მეცნიერულ-
ათეისტური მრწამსი. ეს შემგუებლური, არაკრიტიკული პოზიცია
მეტყველებს მათი მეცნიერული ცოდნის დაბალ დონეზე, იდეოლო-
გიურ მოუწიფებლობასა და რელიგიის მიმართ ობიექტივისტურ
დამოკიდებულებაზე.

ამ ჯგუფის წარმომადგენელთა ქცევის ნორმები სავსებით შეე-
სატყვისება მათ იდეოლოგიურ ინდიფერენტიზმს: უმეტესობა მონა-
წილეობს რელიგიურ კულტში, ავლენს მისტიკისა და ცრუმორწმუ-
ნეობისადმი მიდრეკილებას, ამ მოვლენების არსებობა ჩვენი საზო-
გადოების სინამდვილეში კანონზომიერად მიაჩნიათ.

რელიგიურობის დაძლევის საერთო პროცესში „ინდიფერენ-
ტულებისადმი" დამოკიდებულების განსაზღვრისას უნდა გავითვა-

ლისწინოთ კონკრეტულ-ისტორიული ვითარება. საბჭოთა ხელისუფ-ლების გამარჯვების შემდეგ რელიგიისა და ეკლესიისაგან მშრომელ-თა მასობრივი ჩამოშორების პირობებში ინდიფერენტიზმი წარმო-ადგენდა დადებით მოვლენას. ეს იყო სეკულარიზაციის პროცესის გამოხატულება, თავისებური მოსამზადებელი საფეხური მორწ-მუნეობიდან ათეისტურ პოზიციებზე გადასასვლელად.

თანამედროვე პირობებში გარკვეული ათეისტური ზემოქმედე-ბის (ან სხვა მიზეზების) შედეგად რელიგიას ჩამოშორებული ყოფი-ლი მორწმუნის ინდიფერენტიზმი, რომელიც ახლებურად იწყებს ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების გააზრებას, მაგრამ ჯერ კიდევ არა დგას მყარ ათეისტურ ნიადაგზე — როგორც ადამიანის რელიგიისაგან განთავისუფლების გამოვლინება — ასევე დადებით მოვლენად ჩაითვლება.

„ინდიფერენტულთა“ ერთი ნაწილის მსოფლმხედველობრივი პოზიციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარკვეულ პირობებში ისინი შეიძლება მოექცნენ რელიგიის გავლენის ქვეშ და იქცნენ მორწმუ-ნეთა რიგების შემავსებელ ნაკადად. ასეთ შემთხვევაში ინდიფერენ-ტიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მოვლენა იქნება.

არამორწმუნეებსა და მორწმუნეებს შორის ერთგვარი გარდა-მავალი ადგილი უკავია მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ ჯგუფს — „მერყეებს“. მათი ცნობიერება ამორფული და ბუნდოვანია, მოკლებულია ყოველგვარ სისტემატურობას, რწმენა კი წინააღმდე-გობრივი, ცვლადი და დინამიკურია. „მერყეები“ ეჭვქვეშ აყენე-ბენ ღმერთის რწმენას, მაგრამ ვერ მიდიან მის საბოლოო უარყო-ფამდე. ამავე დროს დაკარგული აქვთ რელიგიური რწმენის სხვა არსებითი ელემენტები. რელიგიური რწმენა-წარმოდგენები „მერ-ყეების“ ცხოვრებაში არ ასრულებს ძირითადი მოტივების როლს. მათი პრაქტიკული საქმიანობა რელიგიის გავლენის სფეროს მიღმა რჩება. მორწმუნის ამ ტიპის მსოფლგაგებაში სტიქიურ-მატერიალის-ტური შეხედულებები, სტიქიური ათეიზმი ჭარბობს რელიგიურს. მიუხედავად ამისა, „მერყეები“ იზიარებენ მთელ რიგ რელიგიურ დებულებებს და, მართალია, დიდი ორჭოფობით, თავიანთ თავს მა-ინც მორწმუნეებად აღიარებენ. მათ შეგნებაში პირველ ადგილზე გამოდის ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული რე-ლიგიის ემოციურ-ფსიქოლოგიური მხარე. „მერყეებს“ ძალზე და-ბალი აქვთ როგორც მეცნიერულ-ათეისტური, ისე რელიგიური დოგ-მატიკის ცოდნის დონე. მათი რწმენა უმეტესწილად ეფუძნება ტრა-დიციას, ოჯახში მიღებულ რელიგიურ აღზრდას. მორწმუნეთა ამ კა-

ტეგორიის წარმომადგენლებს გარკვეული კავშირი აქვთ რელიგიურ გარემოსთან. დროდადრო — დიდი დღესასწაულების ან ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების(დაბადება, ქორწინება, დაკრძალვა) აღნიშვნისას, დადიან ეკლესიაში, სადაც ძირითადად აინტერესებთ ღვთისმსახურების სანახაობრივი და არა მისი რელიგიური არსი. ასეთ შემთხვევაშიც მათი მოქმედება უფრო ტრადიციის ხარკია, ვიდრე რელიგიურობის გამოხატულება. ზოგი მათგანი ცდილობს რელიგიის გამართლებას ზნეობრივი და ესთეტიკური თვალსაზრისით.

„მერყევები" რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში ძალზე პასიურად ან სულ არ მონაწილეობენ, არ ეწევიან რელიგიურ პროპაგანდას. ამ ტიპის მორწმუნეები გარკვეულ ინტერესს იჩენენ ცხოვრების ახალი მოვლენებისა და თანამედროვე მეცნიერული მიღწევებისადმი. პოზიტიურად ეკიდებიან რელიგიის მავნე მხარეების შხილებას და საბუნებისმეტყველო საკითხების ათეისტურ საფუძველზე ახსნას. „მერყევების" არსებობა თანამედროვე ცხოვრებაში რელიგიის პოზიციების აშკარა შესუსტების მაჩვენებელია.

იმ სოციოლოგიური მახასიათებლებისა და ნიშნების რიცხვს, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს პიროვნების მორწმუნეობას და იძლევა რელიგიური კომპლექსის ობიექტური შესწავლის საშუალებას, განეკუთვნება ცდისპირის რელიგიისა და ათეიზმისადმი დამოკიდებულების თვითშეფასება. საწარმოს მუშა-მოსამსახურეთაგან მორწმუნედ აღიარა თავი გამოკითხულთა მცირე ჯგუფმა (6%).

თანამედროვე მასობრივი რელიგიური შეგნების დამახასიათებელი ტენდენციები განსხვავებულად არის გამოხატული მორწმუნეებში, რომლებიც რელიგიურობის დონის მიხედვით არაერთგვაროვან მასას წარმოადგენენ. ყველაზე მრავალრიცხოვან ქვეჯგუფს შეადგენენ მორწმუნეები, რომელთა შეგნებაში რელიგიას დაქვემდებარებული ადგილი უკავია. მათი უმეტესობის მსოფლმხედველობაში ღმერთის, ზებუნებრივის იდეა გადატანილია შეგნების პერიფერიაზე, საკულტო წეს-ჩვეულებების შესრულებაში ჭარბობს არარელიგიური მოტივები. შესაბამისად, რეალური ცხოვრებისეული ინტერესები წინა პლანზეა წამოწეული. ამ კატეგორიის მორწმუნეთა დიდი ნაწილი იმყოფება სოციალისტური სინამდვილის გადამწყვეტი გავლენის ქვეშ. ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, იცავენ საზოგადოებრივ საკუთრებას, მონაწილეობენ სახალ-

ხო დოვლათის შექმნაში, პატიოსნად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ცხოვრობენ კოლექტივის ინტერესებით, პრაქტიკულ ცხოვრებაში იყენებენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, სარგებლობენ სამედიცინო მომსახურებით.

ამ ტიპის მორწმუნეთა გარდა, ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ შემორჩა ღრმად მორწმუნეთა ძალზე მცირე ნაწილი, რომელიც გამოირჩევა რელიგიისადმი განსაკუთრებული მიკერძოებით. ასეთ ადამიანთა მსოფლმხედველობაში რელიგიურ იდეებს გაბატონებული ადგილი უჭირავს. ღრმად მორწმუნეებს ახასიათებთ რელიგიისადმი არაკრიტიკული, ტრადიციული მიდგომა, მისი დოგმების მიმართ ბრმა, კონსერვატული დამოკიდებულება. მათ სჯერათ ღმერთთან ზებუნებრივი კავშირის შესაძლებლობისა, თავიანთი რწმენის ობიექტს გამოსთხოვენ დახმარებასა და შემწეობას. უკრიტიკოდ აღიარებენ ბიბლიური ტექსტებისა და რელიგიური მითების უტყუარობას, ცხოვრებისეულ ურთიერთობებში ხშირად ხელმძღვანელობენ რელიგიური დებულებებით, რეგულარულად კითხულობენ საეკლესიო ლიტერატურას, კარგად იციან ცალკეული ადგილები სხვადასხვა ფსალმუნებიდან და ლოცვებიდან, შეუძლიათ კამათი თეოლოგიურ პრობლემებზე. უარყოფენ რელიგიის როგორც დოგმატურ, ისე საკულტო მოდერნიზმს. მორწმუნეთა ამ ჯგუფის წარმომადგენლებში რელიგიური შეგნება დომინირებს სოციალური საქმიანობის მოტივაციაზე. ღრმად მორწმუნეები შეადგენენ რელიგიური აქტივის მოქმედ ბირთვს, როგორც წესი, უკავიათ რაიმე თანამდებობა, ახლო ურთიერთობაში იმყოფებიან სამღვდელოებასთან, სისტემატურად დადიან ეკლესიასა თუ სამლოცველო სახლში, მონაწილეობენ დღესასწაულებში, ასრულებენ ყოველგვარ რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს (ზიარება, აღსარება, მარხვა და ა. შ.). ამ ტიპის მორწმუნეები თანმიმდევრული ფეტიშისტები არიან, თაყვანს სცემენ სხვადასხვა საკულტო საგნებს.

მორწმუნეთა ამ კატეგორიის წარმომადგენლები ეწევიან აქტიურ რელიგიურ პროპაგანდას, ცდილობენ ადამიანთა ჩაბმას თავის ორგანიზაციაში. მათი საზოგადოებრივი კავშირები ძირითადად იფარგლება ერთმორწმუნეთა ვიწრო წრითა და იმ პირებით, რომლებიც შემწყნარებლურ დამოკიდებულებას იჩენენ მორწმუნეებისადმი. ისინი ხელოვნურად ცდილობენ თავის წარმოდგენათა წრეში ჩაკეტვას, ნებისყოფის დაძაბვით ამახვილებენ აზრებს რელიგიურ ობიექტებზე და განუწყვეტელი ემოციური თვითმთაგონების მდგომარეობაში იმყოფებიან. ღრმად მორწმუნეები თავს არიდებენ საზო-

ვადოუბრივად სასარგებლო საქმიანობას, უარს აცხადებენ ათეისტურ ლონისძიებებში მონაწილეობაზე, უარყოფითად ხვდებიან ათეისტების ყოველგვარ ცდას დაამყარონ მათთან კონტაქტი, სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს ხსნიან რელიგიური მოძღვრებიდან გამომდინარე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოთ მოყვანილი მსოფლმხედველობრივი ტიპოლოგია პირობით ხასიათს ატარებს. პრაქტიკულ ცხოვრებაში საკმაოდ ძნელია დადგენა, თუ რომელ ტიპს შეეკუთვნება ესა თუ ის მორწმუნე. ხშირად ადამიანი თავისი მონაცემებით ვერ თავსდება წინასწარ შედგენილი სქემის ჩარჩოებში, ხოლო ზოგჯერ მისი მაჩვენებლების ნაწილი ერთი ტიპის მორწმუნეთა დამახასიათებელ ჯგუფში შედის, ნაწილი კი — მეორეში. ეს იმიტომ ხდება, რომ ყოველი ადამიანი თავისთავადი, განუმეორებელი ინდივიდია, საკუთარი სულიერი სამყაროთი და ყველასაგან განსხვავებული შეხედულებებით. ადამიანთა მსოფლმხედველობიდან შეიძლება ჯგუფისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების გამოყოფა, ოგრამ ყოველთვის რჩება ისეთებიც, რომლებიც სტანდარტში ვერ ექცევა. ადამიანის სულიერი სამყაროს საზომი ყოველთვის პირობითია, ცალკეულ ჯგუფებს შორის არსებული ზღვარი — საკმაოდ ძოძრავი და არამდგრადი. მიუხედავად ამისა, ადამიანთა მსოფლმხედველობრივ ტიპებად დაყოფის პრინციპი ხელს უწყობს ათეისტურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიფერენცირებულად წარმართვას, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში კონკრეტული საშუალებების, ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას.

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა სხვადასხვა ტიპოლოგიური ჯგუფების დამოკიდებულება რელიგიისა და ათეიზმისადმი. საწარმოს მუშაკთა შორის აშკარად შეინიშნება მორწმუნეობის დონის დაქვეითებისა და სეკულარიზაციის პროცესის აღმავლობის ტენდენცია. მაგრამ ათეისტური აღზრდა არ იფარგლება მხოლოდ რელიგიის პოზიციების შესუსტებით. იგი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მასებში მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის განმტკიცების ამოცანას.

მორწმუნეთა და ათეისტთა სხვადასხვა ტიპოლოგიური ჯგუფების არსებობის ფაქტი იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა წინაშე აყენებს ათეისტური აღზრდისადმი დიფერენცირებული მიდგომის პრობლემას, ადამიანთა მსოფლმხედველობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა გამოკვლეულ ნაწილს შორის

ყველაზე მრავალრიცხოვანია „არამორწმუნეთა“ ჯგუფი (20,6%). მათთან აღმზრდელობითი მუშაობისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითებით — აღვზარდოთ არა მხოლოდ მატერიალისტები, არამედ მებრძოლი მატერიალისტები, რომლებიც შეურიგებელნი იქნებიან იდეალიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი.

იმისათვის, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ამაღლდნენ ათეისტების დონემდე, მათ უნდა გამოუმუშავდეთ რელიგიისადმი უკომპრომისო დამოკიდებულება, იმის შეგნება, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანის (და არა მხოლოდ ვიწრო სპეციალისტის) მოქალაქეობრივი ვალია იყოს აქტიური ათეისტი, ე. ი. ყველგან და ყოველთვის ებრძოლოს რელიგიურობის ყოველგვარ გამოვლინებას.

რელიგიის დაძლევის დინამიკის ანალიზი ავლენს მისი დაქვეითების არა პირდაპირ ხაზს, არამედ რთულ პროცესს. მუდმივია მორწმუნეთა რიცხვის განუხრელი შემცირების საერთო ტენდენცია, თუმცა ამ შემცირების ცალკეული ემპირიული მონაცემები სხვადასხვა ტიპოლოგიურ ჯგუფებში არაერთნაირია. ეს მონაცემები განპირობებულია მთელი რიგი კონკრეტული ფაქტორებით, რომლებიც დაკავშირებულია მორწმუნეთა როგორც კონფესიონალურ მიკუთვნებულობასთან, ისე მათ სოციალურ-დემოგრაფიულ შემადგენლობასთან.

ადამიანთა ტიპოლოგიურ ჯგუფებზე განსაკუთრებით სრულ წარმოდგენას იძლევა დემოგრაფიული მონაცემების ანალიზი.

სეკულარიზაციის პროცესის თავისებურებათა გამოვლინება დემოგრაფიული სტრუქტურის გათვალისწინებით გულისხმობს მორწმუნეთა შესწავლას მათი სქესის, ასაკის, განათლების, პროფესიული მიკუთვნებულობის, დასაქმებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სეკულარიზაციის პროცესის სოციოლოგიურ კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ასაკობრივ მონაცემებს, ვინაიდან ადამიანის ასაკი არის მისი ოჯახური, საზოგადოებრივი და პროფესიონალურ-კვალიფიციური სტატუსის არსებული ან პოტენციური შესაძლებლობების მაჩვენებელი.

კვლევის შედეგები მეტყველებს, რომ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ხანდაზმულობის დროს ექცევიან რელიგიის გავლენის ქვეშ, სულ უფრო მცირდება. ჩვენ მიერ გამოკვლეულთა შორის ამ ტიპის მორწმუნეებმა შეადგინეს 1,6%, ხოლო იმათ კი, ვინც ახალგაზრდობაშიც მორწმუნე იყო — 3,9%. ახალგაზრდობის და საშუალო ასაკის ადამიანთა ათეისტური შეხედულებების მაღალი დონე ამჟა-

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 262—275.

მად გამორიცხავს უფროს ასაკობრივ კატეგორიაში გადასვლისას მათი რელიგიის გავლენის ქვეშ მოქცევის საშიშროებას (გამონაკლისი მხედველობაში არა გვაქვს). ამასთან, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ახალგაზრდებს შორის ათეისტური შეხედულებებისა და ქცევის ნორმებიდან გადახვევა უმეტესწილად ატარებს არარელიგიურ ხასიათს (მაგალითად, არამორწმუნე ახალგაზრდობის რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობა და ა. შ.).

მილებული მონაცემებით ათეისტების პროცენტული შემადგენლობა ყველაზე მალალია 18-20 წლის ასაკის მუშა-მოსამსახურეთა შორის—8,0%. შემდეგ მათ მოყვებიან „სტიქიური ათეისტები"—3,5%, „ინდიფერენტულები"—2,4%, „მერყევები"—1,2 და ბოლოს, „მორწმუნეები" — 0,9%. 21-45 წლის ასაკის ადამიანებში ყველას ჭარბობენ „სტიქიური ათეისტები" — 35,3%, შემდეგ „ინდიფერენტულები"—15,1% და „მერყევები"—8,6%, ათეისტები შეადგენენ 8.4%-ს, ხოლო „მორწმუნეები"—4,2%-ს. აღსანიშნავია, რომ მორწმუნეთა ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის 21-25-სა და 36-40 წლის ასაკის ადამიანებზე (იხ. ცხრილი 2).

ახალგაზრდებში რელიგიის შეღწევის ძირითად არხს თანამედროვე პირობებში წარმოადგენს მორწმუნე ოჯახი. მომავალი თაობის რელიგიური აღზრდა გვევლინება რელიგიის გამძლეობისა და შემორჩენის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად. რა თქმა უნდა, მოგვიანებით სასკოლო აღზრდა, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების გარემოცვა გადამწყვეტ გავლენას ახდენს ბავშვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ზოგჯერ არც სკოლას და არც შრომით კოლექტივს უნარი არ შესწევს აღმოფხვრას ადამიანში მისტიკური განცდებისადმი გარკვეული მიდრეკილება, რომელიც ჩაუნერგა მას ბავშვობის წლებში მორწმუნე ოჯახმა. ამ მიდრეკილების საფუძველზე კი შეიძლება აღმოცენდეს რელიგიური რწმენა, მით უფრო, თუ ახალგაზრდა არა დგას მტკიცე ათეისტურ პოზიციებზე და გარკვეულ მსოფლმხედველობრივ სიძნელეებს აწყდება თავისი სულიერი და ზნეობრივი იდეალების ძიების გზაზე.

როგორც ტიპოლოგიური ჯგუფების სქესობრივ-ასაკობრივი მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რელიგიურობის პროცენტი ყველა ჯგუფში რამდენადმე მაღალია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. ჩვენს ქვეყანაში ქალთა სრული ემანსიპაციის, მამაკაცებთან უფლებრივი

ცხრილი 2

საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა ტიპოლოგიური ჯგუფების დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივი მონაცემების მიხედვით

ტიპოლოგიური ჯგუფები	სქესი %		ასაკი, %											
	ქალები	ბავშვ.	18—20	21—25	26—30	31—35	36—40	41—45	46—50	51—55	56—60	61—65	66—70	71—80
ათეისტები	5,4	4,6	8,0	2,3	2,3	1,9	1,5	0,4	0,1	0,5	0	0,1	0,1	0,1
არამორწმუნეები ანუ სტიქიური ათეისტები	25,5	16,8	3,5	11,9	8,6	5,8	4.4	4,6	1,5	1,2	0,4	0·4	0,1	0
ინდიფერენტულები	12,3	8,7	2,4	4,4	2,3	3,6	2,5	2,3	1,5	1,2	0	0	0	0
მერყეევები	7,5	4,0	1.2	2,1	1,9	2,1	1,2	1,3	0,7	0,7	0,1	0	0	0
მორწმუნეები	3,8	2,0	0,9	1,1	0,7	0,1	1,6	0,7	0,4	0	0,3	0	0	0

გათანაბრების მიუხედავად, ჯერ კიდევ მოქმედებს რიგი ფაქტორები,[3] რომლებიც ხელს უწყობს რელიგიური რწმენა-წარმოდგენების გამძლეობას ქალთა შორის. ამ მიზეზების აღმოფხვრა წარმოადგენს ქალთა სეკულარიზაციის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

ადამიანის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაზე უაღრესად დიდ გავლენას ახდენს მისი განათლების დონე. ტიპოლოგიური ჯგუფების წარმომადგენელთა თავისებურებების განხილვა ამ მიმართულებით ნათლად გვიჩვენებს, რომ პიროვნების განათლების დონე უშუალო კავშირშია მის მსოფლმხედველობრივ მრწამსთან (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 3

საწარმოს მეშა-მოსამსახურეთა ტიპოლოგიური ჯგუფების დაყოფა განათლების დონის მიხედვით

ტიპოლოგიური ჯგუფები	უმაღლესი	დაუმთავრ. უმაღლ.	ზოგადი საშ.	სპეც. საშ.	დაუმთავრ. საშ.	7—8 კლ. განათლებით	დწყ. განა.	წერა-კითხ. მეტად. ცალკეულ.	წერა-კითხ. უცოდინარი
ათეისტები	2,1	0,8	3,6	2.0	0,4	0.4	0.3	0,3	0,1
არამორწმენები ანუ სტიქიური ათეისტები	11,8	3,2	17,0	7,6	1,1	0.4	0,7	0.1	0
ინდიფერენტელები	5,9	1,7	7,2	4,3	0,9	0,7	0,1	0	0
მერყევები	2,5	1,2	3,8	3,2	0.3	0,1	0,1	0,3	0,1
მორწმუნეები	0,7	0,3	3,1	1,3	0	0,1	0,1	0	0

„მორწმუნეებისა“ და „მერყევების“ ჯგუფზე მოდის დაბალი განათლების მქონე ადამიანთა ყველაზე მეტი რაოდენობა. „ინდიფერენტულების“ ჯგუფის წარმომადგენელთა შორის ვხვდებით გარკვეული რაოდენობით უმაღლესი განათლების (5,9%), დაუმთავრებელი უმაღლესი (1,7%) და ზოგადი საშუალო განათლების (7,2%) მქონე პირებს. „სტიქიურ ათეისტებს“ შორის ჭარბობს უმაღლესი განათლების (11,8%), დაუმთავრებელი უმაღლესი (3,2%) და ზოგადი საშუალო (17,0%) განათლების მქონე ადამიანები. ამ ჯგუფში სხვებზე მეტი რაოდენობით ვხვდებით სპეციალური საშუალო განათლე-

[3] იხ. Абдылдаев С. А. Некоторые особенности консервации религиозных предрассудков среди женщин, автореферат, Фрунзе, 1972.

ბის მქონე პირებსაც (7,6%). რაც შეეხება ათეისტებს, მათშიც მაღალი საგანმანათლებლო ცენზის — უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, ზოგადი და სპეციალური საშუალო განათლების პირები ჭარბობენ დაბალსაგანმანათლებლო დონის ადამიანებს.

პიროვნება, საკუთარი ცოდნის მარაგიდან გამომდინარე, შესაბამის დამოკიდებულებას იჩენს სამყაროსა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი. „მორწმუნეთა" დიდი უმეტესობა საკუთარი შეხედულებების შეზღუდულობის, კულტურისა და განათლების დაბალი დონის გამო რეალური სინამდვილის კანონზომიერებებს ღმერთის ნება-სურვილიდან მომდინარედ თვლის. მისთვის უფრო იოლია ამა თუ იმ საკითხის ღმერთის მეშვეობით ახსნა, ვიდრე მისი მეცნიერული ანალიზი. ამიტომ, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად ითვალისწინებს მცირემცოდნეობის ნაშთების ლიკვიდაციას, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დასრულებას, ზოგად-საშუალო, სპეციალურ საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომ სრულყოფას. გარდა ამისა, მშრომელთა ჩაბმა პარტიული და კომკავშირული განათლების სისტემის სკოლებში, სახალხო უნივერსიტეტებში, სხვადასხვა სახის თეორიულ სემინარებში და ა. შ. ხელს უწყობს მშრომელთა შეგნების განთავისუფლებას რელიგიური ცრურწმენებისაგან.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ მათ შორის, ვინც ჩაბმულია სახალხო განათლების ქსელში, თითქმის არ არიან მორწმუნეები, შედარებით ნაკლებია „ინდიფერენტულები", ყველას კი ჭარბობენ „არამორწმუნეები" და ათეისტები. ამ უკანასკნელთ ყველაზე მეტი ხვედრითი წონა აქვთ იმ ადამიანებს შორისაც, ვინც თავისუფალ დროს იყენებს თვითგანვითარებისა და ფიზიკური სრულყოფისათვის: ბევრს კითხულობს, დადის კინო-თეატრებში, კონცერტებზე, მისდევს სპორტის სახეობებს, ინტერესს იჩენს ტექნიკის სიახლეებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებისადმი.

ამრიგად, მშრომელთა ოპტიმალური ჩაბმა განათლების სისტემის ქსელში, მათი ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური ცოდნის ამაღლება, თავისუფალი დროის სასარგებლო გამოყენება — წარმოადგენს მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

პიროვნების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება მის შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობას. ამიტომ, საწარმოს მუშაკთა ტიპოლოგიური ჯგუფების

განაწილება სახალხო მეურნეობაში დასაქმების მიხედვით, მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის ათეისტური შეხედულებებისა და მისი სოციალური აქტიურობის დონის ურთიერთკავშირის დასადგენად. ამ შენთხვევაში ტერმინ „სოციალური აქტიურობის“ ქვეშ იგულისხმება საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობის ორგანული მთლიანობა.

საწარმოს მუშაკები მათი დასაქმების ხასიათისა და კვალიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდნენ ტიპოლოგიურ ჯგუფებში: ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების 34,3%-დან 3,6% შეადგინეს ათეისტებმა, 14,9%—„სტიქიურმა ათეისტებმა“ 7,5%—„ინდიფერენტულებმა“, 4,3%—„მერყეევებმა“ და 1,7%—მორწმუნეებმა (იხ. ცხრ. 4).

ცხრილი 4

სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფების დაყოფა რელიგიასა და ათეიზმთან დამოკიდებულების მიხედვით

საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფები კვალიფიკაციის ხარისხის მიხედვით	ტიპოლოგიური ჯგუფები %-ით					
	ათეისტები	სტიქ. ათეისტ.	ინდიფერენტ.	მერყეევები	მორწმუნეები	ჯამი
ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები	3,6	14,9	7,5	4,3	1.7	34,3
მაღალი კვალიფიკაციის მუშები (V—VI თანრიგი)	1,3	7,0	2,4	1.3	0,9	14
საშუალო კვალიფიკაციის მუშები (I+I—IV თანრიგი)	3,2	9,7	6,3	2,7	1,9	26,4
დაბალი კვალიფიკაციის მუშები (I—II თანრიგი)	1,1	7,2	2,5	1,2	0,9	14,8
არაკვალიფიციური მუშები (თანრიგის გარეშე)	0,4	1,3	0.7	0,3	0.1	3,2

ათეისტების, „სტიქიური ათეისტებისა“ და „ინდიფერენტულების“ ჯგუფებში გაერთიანდა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მაღალი კვალიფიკაციის მუშების ყველაზე მეტი რაოდენობა. ათეისტების ჯგუფებში—3,2%, „სტიქიური ათეისტების“ —9,7%, „ინდიფერენტულების“—6,3%. „მერყეევების“—2,7% და „მორწმუნეების“ 1,9% შეადგინეს საშუალო კვალიფიკაციის მუშებმა. არაკვალიფიციური მუშების 3,8%-ში ათეისტების ხვედრითმა წონამ შეადგინა სულ 0,4%, „სტიქიური ათეისტებისა“—1,3%, „ინდიფერენტულთა“—0,7%, „მერყეევების“—0,3% და მორწმუნეების—0,1%. მიღებულ-

მა მონაცემებმა მუშების კვალიფიკაციის ყველაზე დაბალი დონე გვიჩვენა „მერყევებისა“ და „მორწმუნეების“ ჯგუფებში.

ტიპოლოგიური ჯგუფების წარმომადგენელთა სოციალური აქტიურობის მეორე, მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის ფაქტორი, რაც გულისხმობს საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულებას თავისუფალ დროს, ნებაყოფლობით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

გამოკვლევის მომენტში საზოგადოებრივი სამუშაოს ერთ ან რამდენიმე ფორმაში (კრებებისა და საწარმო თათბირების ჩათვლით) მონაწილეობდა ათეისტების 5,0%, სტიქიური ათეისტების— 2,4%, ინდიფერენტულთა — 7,9%, მერყევთა — 3,9% და მორწმუნეთა—1,5%.

მოყვანილი მონაცემები მეტყველებს, რომ საწარმოს მუშაკთა არარელიგიური ნაწილი საწარმოო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უფრო მაღალი აქტიურობით ხასიათდება, ვიდრე „მერყევებისა“ და „მორწმუნეების“ ტიპოლოგიური ჯგუფები.

დაბალი ზოგადსაგანმანათლებლო დონის ადამიანების (რომელთაც მხოლოდ დაბალკვალიფიციური სამუშაოს შესრულება შეუძლიათ) შესაძლებლობები შეზღუდულია როგორც წარმოებაში, ისე სოციალურ ურთიერთობათა სფეროში. დაბალკვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშაკებს არ შეუძლიათ იმ საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულება, რომლებიც საჭიროებს სპეციალურ ცოდნა-განათლებას. ამ ხარვეზის შესავსებად ისინი უმეტეს შემთხვევაში არავითარ მისწრაფებას არ ავლენენ, რადგან არაკვალიფიციური შრომა არ იძლევა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლების სტიმულს. ამის გამო, ამ ჯგუფის სოციოლოგიური კავშირები მეტად ვიწროა და შეზღუდული, შესაბამისად, მათ შორის ყველაზე მეტია მორწმუნეთა რაოდენობა.

მშრომელთა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდისას ეს გარემოება აუცილებლად გასათვალისწინებელია. დაბალკვალიფიციური და არაკვალიფიციური შრომით დასაქმებული პირები, რომელთა სოციალური აქტიურობა და სოციალური კავშირები ძალზე დაბალია, ჩაბმულ უნდა იქნან საზოგადოებრივ საქმიანობაში. საზოგადოებრივი მუშაობა აფართოებს ადამიანთა ურთიერთკავშირის სისტემას, პიროვნების ინტერესების წრეს, ამაღლებს მისი ცოდნისა და კულტურის დონეს, გამოუმუშავებს ახალ-ახალ ჩვევებს.

ტიპოლოგიური ჯგუფების სახალხო მეურნეობაში დასაქმებულობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სეკულარიზაციის პროცესი მეტნაკლები ინტენსიურობით ყველა ჯგუფში მიმდინარეობს. იმ თავისებურებების დასადგენად, რომლითაც ხასიათდება ეს პროცესი ცალკეულ ტიპოლოგიურ ჯგუფებში, თვალი უნდა გავადევნოთ მათში გაერთიანებული ადამიანების რელიგიისა და ათეიზმისადმი დამოკიდებულებას.

ათეისტური მსოფლმხედველობის ყველაზე მაღალი დონე შეინიშნება საწარმოს ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალსა და იმ მუშა-მოსამსახურეთა შორის, რომლებიც სწავლობენ საღამოსა და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში, საღამოსა და დაუსწრებელ ტექნიკუმებსა და დაუსწრებელ აპირანტურაში. ეს არის საწარმოს მუშაკთა ყველაზე ახალგაზრდა შემადგენლობა, რომელსაც მიღებული აქვს საშუალო განათლება და ამჟამად ცოდნას იმაღლებს ამა თუ იმ ფორმით. საწარმოს მუშაკთა ეს ნაწილი ფლობს გარკვეულ თეორიულ მომზადებას, ძირითადად სწორად იაზრებს ცხოვრებისეულ მოვლენებს, მხარს უჭერს ყოველივე ახალსა და პროგრესულს, კრიტიკულად ეკიდება დრომოჭმულ შეხედულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს. სკოლაში, კომკავშირში, შემდეგ კი სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდის მთელი სისტემა ნიადაგს უმზადებს ამ ახალგაზრდათა სწორ იდეოლოგიურ ორიენტაციას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ადამიანის სოციალური დახასიათებისას ჩვენ ჩვეულებრივ ვიფარგლებით მისი კლასობრივი მიკუთვნებულობის აღნიშვნით: მუშა, მოსამსახურე და ა. შ. რაც საკმაო-რისი არ არის მსოფლმხედველობრივი პრობლემების გადასაწყვეტად. ამ შემთხვევაში საჭიროა ყველა საზოგადოებრივი, კლასობრივი, ეროვნული, პროფესიული, საოჯახო და სხვა ურთიერთობათა ანალიზი, რომელთა ერთობლიობა ქმნის იმ მაკრო და მიკროგარემოს, სადაც მიმდინარეობს ადამიანის პიროვნების, მისი სულიერი სამყაროსა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. ის გარემოება, რომ მუშათა კლასი ყველაზე მოწინავე კლასია სოციალური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, არ გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ მუშათა ყოველ კონკრეტულ კოლექტივში რელიგიურობის დონე უფრო დაბალია, ვიდრე სხვა სოციალურ ფენებში. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული სოციალური გარემოს პირობები, რომელშიც მუშას უხდება შრომა და ცხოვრება — ოჯახური მდგომარეობა, შრომის ხასიათი, წარმოების ტი-

პი, კულტურული დონე, აღზრდა-განათლება და ა. შ. დადგენილია, რომ მსხვილ ავტომატიზებულ საწარმოებში მუშათა რელიგიურობის დონე უფრო დაბალია, ვიდრე წვრილ საწარმოთა მუშებში. რომლებიც ძირითადად ფიზიკური შრომით არის დასაქმებული[4].

ჩვენ მიერ გამოკვლეული საწარმოს სოციალური ჯგუფების სტრუქტურის ანალიზის შედეგებმა რელიგიასა და ათეიზმთან დამოკიდებულებაში დაადასტურა მშრომელთა შეგნებაში მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობის განმტკიცების ფაქტი, ამასთან გამოვლინდა, რომ ეს პროცესი ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობს ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალსა და მაღალკვალიფიციურ მუშებს შორის, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული წარმოებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში. მიუხედავად ამისა, ამ კატეგორიის ადამიანებში, თუმცა ძალზე მცირე რაოდენობით, მაინც ვხვდებით „მორწმუნეებს", საკრძნობი რაოდენობით „ინდიფერენტულებსა" და „მერყეევებს", ისე, რომ რელიგიის დაძლევის პრობლემა ამ ჯგუფში ჯერ ისევ გადაუჭრელი რჩება.

ამრიგად, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში რელიგიის დაძლევისა და ათეისტური მსოფლმხედველობის განმტკიცების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა იმ ჯგუფებში, რომლებიც დასაქმებული არიან მაღალკვალიფიციური შრომით, აქვთ შესაბამისი განათლება და სპეციალური ცოდნის დონე. ხოლო იმ ჯგუფებში, რომელთა წარმომადგენლებს არა აქვთ სპეციალური ცოდნა-განათლება, დაკავებული არიან უმეტესად ფიზიკური შრომით და ფლობენ დაბალ შრომით კვალიფიკაციას, ათეიზაციის პროცესი ძალზე ნელი ტემპით ხორციელდება.

როდესაც ვეხებით რელიგიის დაძლევისა და პიროვნების კვალიფიკაციის დონის ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი ურთიერთგავლენა ხორციელდება არა უშუალოდ და პირდაპირ, არამედ იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლივი მოქმედების შედეგად, რომელიც ახასიათებს პიროვნებისა და მთელი ჯგუფის შრომით საქმიანობას. ამ ფაქტორებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომაში შემოქმედებითი ელემენტების გაზრდას, შრომის მოწინავე ჩვეულებისა და

---

[4] Лебедев А. А., Конкретные исследования в атеистической работе, М., 1976, с. 37—38.

ხერხების დაუფლებას, ნოვატორობას, სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში ჩაბმას და ა. შ.

შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების გამომუშავება და განათლების დონის ამაღლება პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა.

ამრიგად, თანამედროვე სოციალისტურ საზოგადოებაში რელიგიურობის მდგომარეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ რელიგიურობის ხასიათმა, მორწმუნის ფსიქოლოგიურმა სახემ ჩვენს ქვეყანაში არსებითი ცვლილებები განიცადა. ადამიანის მორწმუნეობის ხარისხის მაჩვენებელი — ღრმა რწმენა, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს მის შეგნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაზე — შემორჩა მშრომელთა სრულიად უმნიშვნელო ფენას.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა თანამედროვე ეტაპზე არა მარტო განაპირობა მორწმუნეთა რაოდენობრივი შემცირება და გამოიწვია მათი დემოგრაფიული სტრუქტურის ტრანსფორმირება, არამედ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა თვით რელიგიურობის ხასიათზეც: არსებითად დააქვეითა ადამიანთა შეგნებისა და ქცევის განმსაზღვრელი რელიგიური მოტივები, გამოავლინა ახალი ტენდენციები რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებს რელიგიის სრულ უპერსპექტივობას ჩვენს ქვეყანაში.

ГУГУТИШВИЛИ М. Г.

НЕКОТОРЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ КОНКРЕТНО-СОЦИОЛОГИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ ПРОЦЕССА СЕКУЛЯРИЗАЦИИ РАБОЧИХ И СЛУЖАЩИХ ПРОИЗВОДСТВА

Резюме

На данном этапе развития социалистического общества изучение состояния религиозности трудящихся и эффективности различных форм атеистической работы требует широкого применения конкретно-социологических исследований.

Представленный труд выполнен на основе обобщения данных, полученных в результате социологического исследования, проведенного в Тбилисском производственном объединении им. 50-летия СССР.

В работе изучены духовный мир личности, ее социально-демографические данные, социальная активность, характер культурных запросов и т. д. Среди рабочих и служащих, в зависимости от их отношения к религии и атеизму, выделены различные типологические группы, что дает возможность дифференцированного подхода к научно-атеистическому воспитанию трудящихся.

Результаты исследования показали, что абсолютное большинство рабочих и служащих производственного коллектива свободно от религиозных пережитков. Удельный вес верующих людей относительно невелик. Несмотря на это, атеистическая работа регулярно должна проводиться как с верующими, так и другими типологическими группами коллектива, чтобы поднять их мировоззрение до уровня атеистической убежденности. Успешное решение этой проблемы зависит как от решения различных социально-экономических задач, так и от эффективной научно-атеистической работы.

ლ. მელიქსეთ-ბეგი

ათეისტური მუშაობა სექტანტებს შორის (1945-1975 წწ.)

ქართველი ხალხის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის, ეკონომიკური და სულიერი კულტურის წინსვლამ დიდი გავლენა მოახდინა ხალხური ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების შემდგომ ფორმირებაზე. ახალი შინაარსი შეიძინა ზოგიერთმა ძველმა ტრადიციამ (სტუმარ-მასპინძლობამ, უფროსებისა და ქალების პატივისცემამ), ძველ ჩვეულებათა ერთი ნაწილი კი ანაქრონიზმად და გადმონაშთად იქცა. პირველ რიგში ეს ეხება რელიგიურ დღესასწაულებს, რომელთაც დღეისათვის დაკარგეს თავდაპირველი მნიშვნელობა და თუ არსებობენ ისინი, ერთგვარი ინერციის ძალით ინარჩუნებენ თავის არსებობას. ასეთი დღესასწაულები უმთავრესად სრულდება ყოველგვარი შინაგანი გრძნობებისა და რწმენის გარეშე.

როგორც ცნობილია, მრავალი რელიგიური დღესასწაული სრულდება მსხვერპლის შეწირვის წესით, რაც სახალხო ვეურნეობას ზიანს აყენებს, მაგრამ მარტოოდენ ამით როდი განისაზღვრება მისი მავნეობა. იგი მოქმედებს ადამიანის შეგნებასა და მის მორალზე.

ახალგაზრდა თაობისათვის განსაკუთრებით საშიშია საეკლესიო დღესასწაულები და მასთან დაკავშირებული ცრურწმენები. ჩვენი ახალგაზრდობის ზოგიერთ ნაწილში ჯერ კიდევ შენორჩენილია ე. წ. „ავი თვალის“ რწმენა, ხელის გულზე და შავ ყავაზე მარჩიელობა, წინასწარმეტყველური სიზმრების რწმენა და ა. შ. რელიგიური მისტიკის ატმოსფერო ადამიანის ნერვიულ სისტემაზე დამღუპველად მოქმედებს, მათ ნებისყოფას ასუსტებს და რიგ შემთხვევაში, აბრუებს რა გონებას, ხელს უწყობს მძიმე ნერვული და ფსიქიკური დაავადების განვითარებას.

განსაკუთრებით მავნე და საშიშია რელიგიური სექტების მოქმედება, რადგან სექტანტები ადამიანთა შეგნებას წამლავენ და თიშავენ მათ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომითი საქმიანობისა

და ოჯახისაგან. ეს სექტები ამახინჯებენ რელიგიის შესახებ საბჭოთა კანონებს, ქმნიან ბავშვთა და ახალგაზრდების წრეებს, იზიდავენ ბავშვებს სექტანტურ სამლოცველო კრებებზე (გუნდური სიმღერებისათვის, რელიგიური ლიტერატურის გადასაწერად); აწყობენ ქადაგებას ქალებისა და ბავშვებისათვის.

ბაპტისტების ყველაზე რეაქციული ელემენტების საქმიანობა პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, რადგან ამ სექტის წევრები ცდილობენ თანამოაზრეების იზოლაციას საზოგადოებისაგან. პიონერებს უკრძალავენ წითელი ყელსახვევის ტარებას; საზოგადოებრივ მუშაობაში, შაბათობებში მონაწილეობას; წიგნების კითხვას; ტელეგადაცემების ყურებას და ა. შ. ბაპტისტები თავიანთი რელიგიური თემების საქმიანობას სახელმწიფო კონტროლს არ უქვემდებარებენ, მოითხოვენ რელიგიური კულტის შესახებ არსებული საბჭოთა კანონების გადასინჯვას, ათეისტური პროპაგანდის აკრძალვას და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ", სათანადო შეფასებას აძლევს სექტანტურ საზოგადოებათა ბოქმედებას, აშკარავებს მათი დღესასწაულების არსს და ამხელს ამ დღესასწაულებზე შესრულებული რელიგიური წესების მავნეობას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე შეიმუშავეს კანონმდებლობანი რელიგიაზე, კერძოდ, რელიგიურ სექტანტობაზე და დიდ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს მოქალაქეთა მიერ ამ კანონმდებლობის დაცვას, ხოლო დამრღვევებს პასუხისგებაში აძლევდნენ (კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ეს მოქმედება გაშუქებულია ჩვენს სტატიაში „რელიგიური სექტანტობა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა რელიგიური სექტანტობის შესახებ (1921—1938 წწ.)"[1]. მეორე სტატიაში— „საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა რელიგიურ სექტანტებთან (1921-1937 წწ.)"[2].—კეხებით საქართველოს კომუნისტური პარტიის რელიგიურ სექტანტებთან ბრძოლის საკითხებს.

ამჟამად ჩვენს მიზანს შეადგენს ვაჩვენოთ თუ როგორ იბრძოდა საქართველოს კომუნისტური პარტია რელიგიური სექტანტო-

---

1 ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1972, № 2.

2 რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, წიგნი მე-2, თბ., 1975.

ბის წინააღმდეგ 1945-1975 წწ. აქვე შევეცდებით იმ მიზეზების ჩვენებას, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში სექტანტური ორგანიზაციების შენარჩუნებას.

სამამულო ომის შემდგომი პერიოდის პირველ წლებში ათეისტური პროპაგანდა დროებით შესუსტებული იყო. ეს გარემოება ფართოდ გამოიყენეს საეკლესიო და სექტანტურმა ორგანიზაციებმა. სექტანტური ორგანიზაციების გააქტიურებას ხელი შეუწყო იმ ორგანოების შეცდომებმა და დაუდევრობამ, რომელთაც ევალებოდათ რელიგიური კულტის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის შესრულების კონტროლი (მხედველობაში გვაქვს საგადასახადო შეღავათები, რიგი რელიგიური ორგანიზაციების მმართველობის ცენტრალიზაცია, ზოგიერთი მათგანისათვის საკუთრების მფლობელობის უფლებების მინიჭება და ა. შ.)[3].

60-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ყურადღება მიექცა მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაძლიერების საქმეს. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებაში დიდი როლი შეასრულა 1954 წ. 7 ივლისის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საკითხებზე. ამ დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ანალოგიური დადგენილება მიიღო. მასში აღნიშნული იყო მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ. დადგენილება მიუთითებდა, რომ მრავალი ორგანიზაცია, მათ შორის საქართველოს პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები და სახელმწიფო დაწესებულებები, იდეოლოგიური მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და იმედოვნებენ რელიგიის სტიქიურ კვდომას მასთან აქტიური ბრძოლის გარეშე. ამავე დროს დადგენილებაში კონსტანტირებულია ყველა კულტის, მათ შორის სექტების მსახურთა გააქტიურება თანამედროვე პირობებთან შეგუებითა და თავიანთი რელიგიური პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა პარტიული ორგანიზაციებისა და იდეოლოგიური დაწესებულებებისაგან მოითხოვეს, რომ გადაჭრით დაიგმოს პასიურობა რელიგიის მიმართ, გაძლიერდეს ანტირელიგიური მუშაობა—ემხილათ რელიგიის რეაქციული არსი და ეჩვენებინათ თუ როგორ უშლიდა ის ხელს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ მო-

---

[3] Цамерян, Коммунизм и религия, М., 1967, с. 159—160.

ქალაქეს კომუნისტური მშენებლობის საქმეში შეგნებულსა და აქტიურ მონაწილეობაში. დადგენილებაში ასევე აღინიშნა, რომ ანტირელიგიური მუშაობა უნდა ტარდებოდეს სისტემატურად, დარწმუნების მეთოდით, მთელი დაჟინებით, მოთმინებითი განმარტებით და მორწმუნეებისადმი ინდივიდუალური მიდგომით.[4]

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სექტანტები ცდილობენ თავიანთ წესებში ეროფეების ჩათრევას და ამ გზით მორწმუნეების გამრავლებას, რომლებიც რელიგიურ წესებს შეასრულებენ და რელიგიურ დღესასწაულებს მოემსახურებიან; რომ რელიგიურ დღესასწაულებს თან სდევს ლოთობა, ხულიგნობა, საქონლის მასიური დაკვლა. დღესასწაულების მოწყობა იწვევს ხალხის გაცდენას სამუშაოსაგან, შრომითი დისციპლინის ჩავარდნას, მორწმუნეების შეგნების დასახიჩრებას და კომუნიზმის მშენებლობისათვის ხელის შეშლას[5].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახალხო განათლების ორგანოები, კომკავშირი, საზოგადოებრივი და მრავალი სხვა ორგანიზაცია ამ ფაქტებს გვერდს უვლიან. კულტურისა და განათლების სამინისტროები, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება შეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას ნაკლებ ყურადღებას უთმობს. საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო თემებზე ლექციები და საუბრები იშვიათად ტარდება და რესპუბლიკური და ადგილობრივი პერიოდული პრესა მეცნიერულ-ათეისტურ თემებზე თითქმის არ აქვეყნებს მასალებს.

სკკპ და საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტებმა მიუთითეს სექტანტების მოძღვრების არსზე, მათ მიერ წარმოებული პროპაგანდის ფორმებსა და მეთოდებზე და აღნიშნეს, რომ ისინი პრესით სარგებლობენ, მისდევენ ქადაგებას, საქველმოქმედო მოღვაწეობას და მერყეევი ადამიანების ინდივიდუალურ დამუშავებას; რომ ისინი თავიანთ სამლოცველო კრებებს საზეიმოდ აწყობენ.

ამის გამო, საკავშირო და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა დაავალეს პარტიულ ორგანიზაციებს ბოლო მოუღონ აღნიშნულ ნაკლოვანებებს, შეიმუშაონ ღონისძიებები სამეცნიერო-ათეისტური მუშაობის გაუმ-

---

4 გაზ. „კომუნისტი", 7.7.1954.

5 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი (თბილისი), ფონდი 14, ან. 32, საქ. 189, ფურც. 139.

6 Коновалов, К массовому атеизму, М.. 1974, с. 126.

ჯობესებისათვის და მიუთითეს ამ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა საქართველოში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის ძირითადად გარდაქმნის ღონისძიებები.

მილებული ღონისძიებების შედეგად, ანტირელიგიური პროპაგანდა გაცილებით გააქტიურდა, მაგრამ ამავე დროს იყო დაშვებული მორწმუნეთა გრძნობების შელახვის ფაქტები, სისტემატური და მომთმენი ალმზრდელობითი მუშაობის ნაცვლად ადგილი ჰქონდა ადმინისტრირების შემთხვევებს. ამასთან დაკავშირებით, ამავე წლის ნოემბერში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის ჩატარებაში შეცდომების შესახებ". ანალოგიური დადგენილება მიიღო საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც ყურადღება გაანახვილა მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის შინაარსზე, კულტურულ-ალმზრდელობით მუშაობასთან მის კავშირზე და კადრების შერჩევის ხარისხზე.

1954 წ. ნოემბრის დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისა და ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციის შედეგად ალმოფხვრილია რელიგიის სოციალური ფესვები, რომელსაც ეკლესია და სექტანტობა ეყრდნობოდა.

კულტის მსახურთა უმრავლესობა საბჭოთა კავშირის მიმართ ლოიალურ პოზიციებს იკავებს. „ამ პერიოდში რელიგიურ გადმონაშთებთან ბრძოლის ცენტრმა გადაინაცვლა იდეოლოგიის სფეროში, ანტიმეცნიერული რელიგიური მსოფლმხედველობის მეცნიერული კრიტიკის სფეროში"[7].

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი ყველა პარტიულ, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამეცნიერო ორგანიზაციას ავალებს ათეისტური პროპაგანდის საქმეში გამოიყენონ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მოპოვებული თანამედროვე მიღწევები. ამავე დროს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა მუშაობის პრაქტიკაში არ დაეშვათ მორწმუნეთა და კულტის მსახურთა რელიგიური გრძნობების შელახვა.

1954 წ. ნოემბერში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომი-

---

[7] იქვე, ფურც. 127.

ტეტმა შეამოწმა თუ როგორ გატარდა ცხოვრებაში აღნიშნული დადგენილება. შემოწმების შედეგად ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, კომკავშირულმა და სხვა ორგანიზაციებმა, ისევე როგორც პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, გააძლიერეს საბუნებისმეტყველო და მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა. ამ ღონისძიების გატარებისას (ლაპარაკია საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მე-4 პლენუმის მასალებში ანალოგიური მუშაობის შესახებ) დაშვებული იყო შეცდომები როგორც თემატიკაში, ისევე ლექციების შინაარსში. ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების პოპულარული განმარტების შაგივრად, რომლებიც ადასტურებენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაზე მატერიალისტური შეხედულების სისწორეს, ლექტორები და მომხსენებლები თავიანთ მოხსენებებში მიმართავდნენ კულტის მსახურთა შეურაცხყოფას.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში საზოგადოება „ცოდნა", საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საბჭოთა პროფკავშირები და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ 1954 წლის 7 ივლისისა და 10 ნოემბრის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და 1958 წლის 28 სექტემბრის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს, რომლებშიც განსაზღვრულია ამ ორგანიზაციების კონკრეტული ამოცანები მოსახლეობის ათეისტური აღზრდის საქმეში.

1958 წ. დეკემბერში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ხელმეორედ შეამოწმა ათეისტური პროპაგანდის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესრულების შედეგები. ბიუროზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ანტირელიგიური პროპაგანდის გაუმჯობესების სფეროში გარკვეული მიღწევები შეინიშნება.

ანტირელიგიური მუშაობის გასაუმჯობესებლად საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი როლი მიანიჭა სამრეწველო საწარმოების, სახელმწიფო დაწესებულებების, კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ მუდმივ მოქმედ პუნქტებს და აგიტკოლექტივებს.

---

8 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი (თბილისი), ფ. 17, ან. 35, საქ. 25, ფურც. 159.

გააუმჯობესა მუშაობა საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტმა, რომელიც ატარებდა მუშაობას სექტანტებით დასახლებულ ადგილებში: „მთავარ არხში“, თბილელექტროცენტრში და ა. შ. ქალაქკომმა მოაწყო მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდის ლექტორების თათბირი. მოეწყო აგრეთვე საქალაქო პარტიული აგიტკოლექტივების, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტკომიტეტთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სემინარი.

აქტიური მუშაობა გაიშალა პერიფერიებში, ასე, მაგალითად, 1958 წ. დეკემბრიდან 1959 წ. აპრილამდე საქართველოს კპ გაგრის რაიონის აგიტატორებმა ჩაატარეს 300-ზე მეტი საუბარი და 65 ლექცია ანტირელიგიურ თემაზე.

პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ამაღლებისათვის, კერძოდ, მშრომელთა ათეისტური აღზრდის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ 22-ე ყრილობას (1961 წ. 17-31 ოქტომბერი) და ყრილობის მიერ მიღებულ ახალ პროგრამასა და პარტიის წესდებას. პარტიის პროგრამა მიუთითებდა სამ ძირითად საკითხზე:

1. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა,

2. სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის გადაზრდა კომუნისტურში,

3. საბჭოთა ხალხის მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება, კერძოდ, მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა.

ახალი წესდება პარტიის წევრებს ავალებდა დაუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ეწარმოებინათ შეუპოვარი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ახალ გამოვლინებასთან ,კერძოდ, მესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთებისა და რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ.

22-ე ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამა გვისახავს ყველა საბჭოთა ადამიანის მეცნიერული მსოფლმხედველობის სულისკვეთებით აღზრდისა და რელიგიური რწმენის დაძლევის ამოცანებს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის დაუშვებლად.

სამეცნიერო-ათეისტური მუშაობის გაძლიერების მიზნით, 1959 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაარსდა მეცნიერული ათეიზმის კაბინეტი, რომელიც 1973 წელს გარდაიქმნა რელიგიის ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის განყოფილებად. მისი თანამშრომლები ამუშავებენ რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის მეცნიერულ პრობლემებს, კავშირს ამყარებენ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებთან,

ათეიზმის სახლებთან მოსკოვსა და ლენინგრადში, სსრკ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მეცნიერული ათეიზმის ინსტიტუტთან, სსრკ რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის მუზეუმთან ლენინგრადში.

მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაძლიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული იდეოლოგიური კომისიის გაფართოებულ სხდომაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც შედგა 1963 წ. ნოემბერში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში — „ათეისტური აღზრდის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ — მოცემულია თანამედროვე რელიგიის მდგომარეობისა და ტენდენციების, რელიგიის მოდერნიზაციის, მორწმუნეთა შეგნებულობის და ფსიქოლოგიის შეცვლის პროცესებისა და ათეისტური აღზრდის შინაარსის ანალიზი. აქვე მოცემულია პროპაგანდისტული, აღმზრდელობითი მუშაობის გაშლისა და მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდის გაძლიერების გეგმა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკებს, სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს შეემუშავებინათ კონკრეტული ღონისძიებები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, რომლის ნიადაგზედაც ძირეულად გაუმჯობესდებოდა ათეისტური მუშაობა[9].

მოკავშირე რესპუბლიკების კპ ცენტრალური კომიტეტების იდეოლოგიურმა განყოფილებებმა ჩამოაყალიბეს ათეიზმის პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი კურსები, იდეოლოგიურმა კომისიებმა წინადადება მისცეს პარტიულ კომიტეტებსა და პროფორგანიზაციებს შეისწავლონ რელიგიის მოქმედების მდგომარეობა ყოველ მიკროორაიონში, დასახლებულ პუნქტებსა და კოლექტივებში, სათანადო მუშაობა გასწიონ მორწმუნეებთან, ჩაებან ისინი საზოგადოებრივ წრეებსა და სკოლებში, მასობრივი ღონისძიებები ჩაატარონ დასახლისებისა და პენსიონერებისათვის. ამ სამუშაოსათვის გათვალისწინებული იყო კვალიფიციური პროპაგანდისტების შერჩევა, მაგრამ მათი უკმარისობის გამო ეს მუშაობა სუსტად ტარდებოდა.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ პროგრამითა და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებით, მშრომელთა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის გაუმჯობესების შესახებ, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ანტირელიგიური პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის რიგი ღონისძიებები.

---

[9] Журн. «Наука и религия», № 1, 1963, с. 3.

60-იან წლებში პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეიქმნა პროპაგანდისტების მომზადების მუდმივმოქმედი სემინარები, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებთან ჩამოყალიბდა მეცნიერული ათეიზმის ფაკულტეტები. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტგანათლების სახლთან დაარსდა ათეისტური პროპაგანდის საბჭო.

სკკპ XXIII ყრილობამ პარტიის ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა ახალგაზრდობის ათეისტურ აღზრდაში გამოიყენებინათ აღზრდის ყველაზე უფრო ემოციური და ესთეტიკური ფორმები.

დიდ მეცნიერულ-ათეისტურ მუშაობას ეწევიან საქართველოს კპ და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტებისა და პარტიისა და ალკკ თბილისის კომიტეტების აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებების ათეიზმის სექციები. ეს სექციები ხელმძღვანელობენ და კოორდინაციას უწევენ პარტიის, პროფკავშირის სხვადასხვა საუწყებო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთაც ევალებათ მოსახლეობაში ათეისტური მუშაობის ჩატარება. განყოფილებასთან არსებული ლექტორთა ჯგუფი დახმარებას უწევს პარტიულსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აგიტატორთა და პროპაგანდისტთა კადრების მომზადება-გადამზადებაში. პარტორგანიზაციების მდივნების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის პროპაგანდისტების მუდმივმოქმედ სემინრებზე სისტემატურად იხილავენ საკითხებს, რომლებიც ათეისტური მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს ეხება.

პარტიულ-კომკავშირული, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციები დიდ მუშაობას ატარებენ ქალაქებსა და სოფლებში რევოლუციურ-პარტიულ და შრომით ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდის, საოჯახო ყოფაში რელიგიური გადმონაშთების, დრომოჭმული ტრადიციების აღმოფხვრისა და მათი ახალი, საბჭოური დღესასწაულებითა და წესებით შეცვლის მიზნით. მაგალითად, დიმიტროვის სახელობის ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ 1965 წ. ქარხანაში გახსნა ათეიზმის სახლი, რომლის სამეცნიერო საბჭო, შეისწავლა ოდესის, მოსკოვისა და ლენინგრადის ათეისტების გამოცდილება, ქარხანაში აწყობდა კითხვა-პასუხებს; ატარებდა მუშაობას მოსწავლეებსა და მშობლებთან; ეწეოდა ინდივიდუალურ მუშაობას საზოგადოება „ცოდნა"-სთან, პარტიის საქალაქო კომიტეტთან. რაიკომებთან, საქართველოს პროფსაბჭოსთან, არსებულ მეთოდურ კაბინეტსა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის რელიგი-

ისა და ათეიზმის ისტორიის განყოფილებასთან კონტაქტში; საბჭოს წევრები ისტორიულ ადგილებში აწყობდნენ ექსკურსიებს, ლაშქრობებსა და დასვენების საღამოებს; მიკრორაიონის დასახლებისათვის დაარსებული იყო ათეიზმის შემსწავლელთა წრე.

1967-1968 წწ. ჩატარდა სემინარები რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის, აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორებისათვის.

სკკპ XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა იმ საკითხს, რომ „კომუნიზმის მშენებლობას წინ ვერ წავწევთ, თუ ყოველმხრივ არ განვავითარეთ თვითონ ადამიანი. ადამიანთა კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი შეგნების, შინაგანი სიმწიფის მაღალი დონის გარეშე კომუნიზმის აშენება შეუძლებელია“[10].

რელიგიური გადმონაშთებისა და დრომოჭმული ჩვეულებების, ისევე როგორც რელიგიური სექტების ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული დადგენილება მავნე ტრადიციების შესახებ[11], რითაც პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს.

სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში მცირე ლიტერატურა იბეჭდება ათეიზმის თემაზე. რესპუბლიკაში არ არის არც ერთი სპეციალური პერიოდული ორგანო ქართულ ენაზე, რომელიც რელიგიისა და ათეიზმის საკითხებს აშუქებდეს.

გაწეული ათეისტური მუშაობის მიუხედავად, რესპუბლიკის ტერიტორიაზე სექტანტური ორგანიზაციები ჯერ კიდევ განაგრძობენ მოქმედებას. ზოგიერთი ადამიანის შეგნება ჩაძორჩება სოციალისტურ სინამდვილეს, ვინაიდან რელიგიური შეგნება დიდად დაშორებულია ეკონომიკური ბაზისაგან და იცვლება უფრო ნელა, ვიდრე პოლიტიკური და უფლებრივი შეხედულებები[12].

მეცნიერული ათეიზმის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ზოგადი ხასიათისაა და მოკლებულია ადგილობრივ კონკრეტულ მასალას, ამიტომაც ვერ ასახავს რელიგიური ორგანიზაციების მდგომარეობას საქართველოში.

მოკლე მეცნიერულ-ათეისტური ლექსიკონი ქართულ ენაზე არ გაგვაჩნია.

რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთები და მეცნი-

---

10 სკკპ XXIV ყრილობის მასალები. თბ., 1971, გვ. 10.

11 გაზ. „კომუნისტი“, 25.11.1975 წ.

12 История и теория атеизма, М., 1974, с. 413.

ერულ-პოპულარული ჟურნალები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სექტანტობის საკითხებს.

სექტანტური თემების ხელმძღვანელები ყოველნაირად ეგუებოდნენ თანამედროვე პირობებს, ადვილად ახერხებდნენ თავიანთ თემებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის ჩათრევას. სამწუხაროდ, ორჯონიკიძის სახელობის პარკში მხოლოდ ერთი წლის მანძილზე (1968 წ.) მუშაობდა თბილისის საქალაქო ორგანიზაციის საზოგადოება „ცოდნა"-სთან არსებული „მეცნიერული ათეიზმის სახლი". ამ სახლში მოწყობილი იყო გამოფენა „მეცნიერება და რელიგია", რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის განყოფილების მუშაკებმა მოამზადეს და რომელიც წარმოადგენდა ანტირელიგიური პროპაგანდის შესანიშნავ კერას.

სუსტად წარმოებს აგიტაცია და პროპაგანდა სექტანტებს შორის. იგი შეზღუდულია ლექციებით და აგიტაციის თვალსაჩინო ფორმები თითქმის არ გამოიყენება. სასოფლო კლუბები ძირითადად უქმედოდ არიან. სუსტად არის დაყენებული წრეობრივი მუშაობა, არ არის სექტანტებისადმი მიძღვნილი სტენდები, ფოტოვიტრინები. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი" მიუთითებს, რომ საქართველო „ყოველთვის ითვლებოდა ერთ-ერთ მოწინავე ათეისტურ რესპუბლიკად, სადაც რელიგიასთან ბრძოლის ძირითადი მომენტები ნოგვარებულად ითვლებოდა". ამ გარემოებამ შექმნა ილუზია, რომ მორწმუნენი მხოლოდ მოხუცნი არიან, რომელთა სიკვდილის შემდეგ რელიგიურობა გაქრება. შეიქმნა აზრი, თითქოს რელიგია გაქრება ყოველგვარი მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის გარეშე. „ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, — ნათქვამია გაზეთში, — საწუხარო შედეგები მოჰყვა". აქვე აღნიშნულია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ორი ათეული წლის მანძილზე არსებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა, მექრთამეობამ, პროტექციონიზმმა, კუთხურობამ, თვისტომობამ, ძმაბიჭობამ დიდი ზიანი მიაყენა ადამიანთა ფსიქიკას. ზოგმა დაკარგა რწმენა ნათელი იდეებისადმი და ერთგვარად შებრუნდა რელიგიისაკენ[14].

სწორედ ამ დროს რესპუბლიკაში მორწმუნეთა შორის სექტანტთა რიცხვი გაძრავლდა. გაზეთს მოჰყავს ბაპტისტთა და მეშვიდე დღის ადვენტისტთაგან საშუალო სკოლის მოსწავლეების თავიანთ თემებში ჩათრევის რამდენიმე მაგალითი.

---

[13] „კომუნისტი", 25.4.1975 წ., № 97.

[14] იქვე.

ნაკლები ყურადღება ექცევა რელიგიური სექტების მავნე საქმიანობას სოხუმის, გაგრის, ჭიათურის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს რაიონებში.

სამლოცველო სახლებისაგან ახალგაზრდობის ჩამოშორების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტულსა და კულტ-მასობრივ ღონისძიებებს, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრას და ა. შ.

მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გასაძლიერებლად მიზანშეწონილია დოკუმენტების გამოქვეყნება სექტანტობის რეაქციული არსის შესახებ.

საჭიროა უფრო ფართოდ გაშალოს ინდივიდუალური მუშაობა სექტანტებთან, ერთი მხრივ, დაწესებულებებში, სადაც ისინი მუშაობენ, ხოლო, მეორე მხრივ, მათ საცხოვრებელ მიკრორაიონებში. ათეისტურ პროპაგანდაში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს სამოქალაქო წესების, ახალი საბჭოთა ტრადიციებისა და ბუნების წლიური ციკლის დღესასწაულებს (ზამთრის, გაზაფხულის, შემოდგომის შეხვედრა და გაცილება), საოჯახო წესებსა და ხალხურ დღესასწაულებს.

სადღესასწაულო რიტუალებში, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება, ძირითადი ოფიციალური კრებების სტილია გაბატონებული. ახალ საბჭოთა ტრადიციებსა და დღესასწაულებში იგნორირებულია ხალხური და ნაციონალური ტრადიციები, ნაციონალური ხასიათი, ტემპერამენტი და ცხოვრების წესი. მათში არასაკმაოდაა წარმოდგენილი საზეიმო, შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი მომენტები.

მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც რელიგიურ საზეიმო ცერემონიალის შეცვლას შევძლებთ მიმზიდველი სამოქალაქო დღესასწაულებით, შესაძლებელი გახდება გარკვეულ შედეგებს მივაღწიოთ რელიგიური გადმონაშთების ლიკვიდაციის სფეროში[15].

МЕЛИКСЕТ-БЕГ Л. Л.

АТЕИСТИЧЕСКАЯ РАБОТА СРЕДИ СЕКТАНТОВ (1945—1975 гг.)

Резюме

Показан один из наиболее вредных пережитков прошлого — деятельность религиозных сект, освещена та научно-ате-

[15] „კომუნისტი“, 25.11.1975 წ.

истическая пропаганда, которую ведет Коммунистическая партия Грузии среди сектантов, руководствуясь постановлениями и решениями съездов и пленумов ЦК КПСС и ЦК КП Грузии. Автор указывает на причины сохранения сектантства в Грузии и те недостатки, которые имеются в научно-атеистической пропаганде.

Указывается также, что Коммунистическая партия и Советское правительство с самого начала выработали законодательство о религии, в частности о религиозном сектантстве, и внимательно следили за соблюдением гражданами Грузии этого законодательства, а нарушителей привлекали к ответственности.

В труде подчеркнуто, что ЦК КПСС и ЦК КП Грузии вскрыли формы и методы пропаганды сектантами своего учения и выработали меры по улучшению научно-атеистической работы, указали на формы и методы этой работы.

დ. გეგეშიძე

ბაპტისტთა მუშაობის შესწავლის ზოგიერთი შედეგი

(საქართველოს სსრ მაგალითზე).

ბაპტიზმი პროტესტანტიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. იგი საწყისებს კათოლიციზმისა და ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობიდან იღებს.

ბაპტისტური მიმდინარეობა წარმოიშვა ჰოლანდიაში დაახლოებით 1609 წელს, როგორც რადიკალურ-ბურჟუაზიული მოძრაობა ინგლისელ ემიგრანტ-კონგრეგაციონისტებს შორის. პირველი ბაპტისტური გაერთიანებები ინგლისში 1611-1612 წლებში შეიქმნა. ახალი რელიგიური სწავლება გავრცელდა სამხრეთ ამერიკაში 1639 წლისათვის. შემდეგ კი, განსაკუთრებით XVI საუკუნის ბოლოს, ბაპტიზმი ფართოდ ვრცელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის რუსეთში (XIX საუკუნის დასაწყისი). ამ პერიოდისათვის ბაპტიზმი ორგანიზაციულადაც მტკიცდება. 1905 წ. შეიქმნა ბაპტისტთა მსოფლიო საბჭო. 1957 წლიდან ბაპტისტებისა და ევანგელისტების გაერთიანების შემდეგ საბჭო იწოდება ევანგელ ქრისტიან-ბაპტისტთა მსოფლიო საბჭოდ.

ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ბაპტისტთა მიმდევრები გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აღინიშნება, თავდაპირველად არაქართველ მოსახლეობაში, შემდეგ კი ქართველთა შორისაც.

ბაპტიზმი ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ამჟამად, მთელ მსოფლიოში 25 მილიონამდე ბაპტისტის არსებობას აღნიშნავენ.

საბჭოთა კავშირში ბაპტისტთა რელიგიური მიმდინარეობა ნებადართულია. ამ მიმდინარეობის დასაყრდენს წარმოადგენს რელიგიური თემები, რომლებიც ირჩევენ საბჭოებს. რელიგიურ თემებზე საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ევანგელ ქრისტიან-ბაპტისტთა საკავშირო საბჭო. მისი პერიოდული ორგანოა ჟურნალი

„ბრატსკი ვესტნიკი“. საბჭო იწვევს პლენუმებს, ყრილობებს, ხელმძღვანელობს ბაპტისტური რელიგიური თემების საქმიანობას და ა. შ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედებს რამდენიმე ბაპტისტური თემი. აქედან თავისი აქტიურობით გამოირჩევა ქალაქ თბილისის ბაპტისტთა სამლოცველო სახლი, რომელთანაც არსებობს სამი რელიგიური თემი: ქართული, რუსული და სომხური. აღნიშნული რელიგიური გაერთიანებები ფაქტიურად დამოუკიდებლად არსებობენ. ამასთანავე ერთად ამ სახლის ხელმძღვანელობა წარმართავს საქართველოს სხვადასხვა რაიონში მოქმედი თემების საქმიანობას, მათ ინსტრუქტაჟს, რომელიც კონკრეტულ და მიზანდასახულ ხასიათს ატარებს. ეს საქმიანობა თავისი შინაარსით მრავალფეროვანია.

სტატიის მიზანია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ ბაპტისტთა რელიგიური თემების საქმიანობის შესწავლის საფუძველზე დადგინდეს ბაპტისტთა მუშაობის მეთოდებისა და საშუალებების ხასიათი. ბაპტისტთა საქმიანობის, მათი მუშაობის საშუალებების შესწავლა მოხდა მათ შეკრებებზე დასწრების, პრესვიტერთა მიერ წარმოთქმული ქადაგებების ჩაწერის, მორწმუნეებთან პირადი საუბრების გზით. ბაპტისტთა მუშაობის მეთოდებისა და ფორმების თეორიული მხარე განხილულია ჟურნალ „ბრატსკი ვესტნიკში“. ამიტომ, საჭირო გახდა ამ ჟურნალში მოთავსებული მასალის კრიტიკული დამუშავება.

ადამიანებთან ბაპტისტთა მუშაობას საფუძვლად უდევს პროტესტანტული რელიგიებისათვის დამახასიათებელი ძირითადი მოთხოვნა—პირადი რწმენის გამომუშავება. როგორც ცნობილია, კათოლიციზმთან დაპირისპირების დროს პროტესტანტულმა რელიგიებმა წინა პლანზე წამოაყენეს პირადი რწმენის ფენომენი, უარყვეს რა ეკლესიის როგორც ადამიანსა და ღმერთს შორის დამაკავშირებლის ფუნქცია. ამ ამოცანის შესრულება არ მოხერხდა გარკვეული რელიგიური დოგმატიკის გარეშე, ამიტომ, სექტის წევრებში რელიგიური რწმენის განმტკიცებისა და სექტაში ახალი წევრების ჩაბმისათვის შემუშავებულ იქნა რელიგიური დღესასწაულებისა და წესჩვეულებების განსაკუთრებული სისტემა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება კათოლიციზმისა და მართლმადიდებლობის მიერ აღიარებული რელიგიური სისტემისაგან.

პროტესტანტული ტიპის რელიგიების მსგავსად, ბაპტიზმი ორთოდოქსალური ქრისტიანობის სწავლება-ქადაგებას თავისებურ,

შედარებით „დემოკრატიულ“, საუკუნის შესაფერის ინტერპრეტაციას აძლევს. ბაპტისტებმა საგრძნობლად შეამცირეს რელიგიური დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებათა რიცხვი, უარყვეს მთელი რიგი მოძველებული რიტუალები. ასე მაგალითად, ისინი პატივს არ სცემენ ჯვარს, არ იწერენ პირჯვარს, მათთვის მიუღებელია მოჩთული და მოკაზმული ეკლესია, უარყოფენ ბერ-მონაზვნობას, კურთხევას და ა. შ., რათა უფრო ხელმისაწვდომი და მისაღები გახადონ თავიანთი რელიგია. ბაპტისტები მოხერხებულად ეხამებიან თანამედროვე პირობებს, ცდილობენ თავიანთი რელიგიური სწავლება ადამიანებისათვის გასაგები და მისაღები გახადონ.

ბაპტისტებს შედარებით დახვეწილი რელიგიური დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები აქვთ. ისინი მათ ახლებურად განმარტავენ და განსხვავებულად ატარებენ. ამ მხრივ აღსანიშნავია: პურისტეხვის, პრესვიტერის ხელთდასმის, მკის დღისა და სხვა დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი. ბაპტისტები ზეიმით აღნიშნავენ სექტის წევრთა ქორწინებას, ნათლობას, მთელი სისრულით იცავენ მიცვალებულის წესის აგებას და სხვ. საყურადღებოა ის გარემოებაც. რომ ბაპტისტთა რელიგიურ კალენდარში შეტანილია წმრომელთა სოლიდარობის დღე — 1 მაისი, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღე — 7 ნოემბერი, კონსტიტუციის დღე — 7 ოქტომბერი და სხვა სახალხო დღესასწაულები.

თავდაპირველად ბაპტისტები უარყოფდნენ კათოლიკურ, მართლმადიდებლურ და სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა მიერ ეკლესიებში ჩატარებული რელიგიური დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებათა საზეიმო ხასიათს, მაგრამ შემდგომ დარწმუნდნენ, რომ უამისოდ შეუძლებელია მორწმუნეებზე ზეგავლენის შენარჩუნება. ამჟამად ბაპტისტთა ღმერთმსახურება სულ უფრო ემსგავსება საეკლესიო მღვდელთმსახურებას. ისინი ზეიმით აღნიშნავენ ქრისტიანული რელიგიის საერთო დღესასწაულებს: შობას, აღდგომას, სულიწმიდის მოვლენას, ფერისცვალებას, მხოლოდ თავისებურად განმარტავენ მათ არსს. ბაპტისტებმა როგორც ამ დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების, ასევე თავიანთი ახალი დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების ძირითადი იდეა ქრისტიანობიდან აიღეს. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. ბაპტიზმი ხომ ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი სახეა, კერძოდ, პროტესტანტული ტიპის რელიგიაა.

ამგვარად, ბაპტიზმის მიერ რელიგიური დოგმების ინტერპრეტაცია, მათი „დემოკრატიზაცია“ ქრისტიანობის ჩარჩოებში ხდება.

ბაპტისტები თვლიან, რომ მხოლოდ მათი რელიგია არის ჭეშმარიტი ქრისტიანობის გამომხატველი.

ბაპტისტების მიერ ჩატარებული რელიგიური დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების მიზანია რელიგიის გავლენის ქვეშ ახალი წევრების მოქცევა და მორწმუნეებში რელიგიური რწმენის შენარჩუნება.

განვიხილოთ, როგორია ბაპტისტების მიერ შემუშავებული რელიგიური სისტემა.

რელიგიური ორგანიზაციის თემში ახალი წევრის ჩაბმის საუკეთესო საშუალებად ბაპტისტები თვლიან ადამიანებთან ინდივიდუალურ მუშაობას. ისინი ითვალისწინებენ ადამიანთა ეკონომიურსა და მორალურ მდგომარეობას, მათ პირად ხასიათს, განათლების დონეს, შეხედულებებს და ა. შ.

სექტანტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრებაში ეკონომიკური ან სხვა ხასიათის სიძნელეები შეხვდათ. ისინი ანუგეშებენ გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანებს, ეხმარებიან მათ ეკონომიურად, ამხნევებენ მორალურად. თავდაპირველად დახმარება ყოველგვარი „ანაზღაურების" გარეშე ხდება, როგორც სექტანტები ამბობენ—„მეზობლური", „და-ძმური" გრძნობების საფუძველზე. შემდეგ სექტის აქტიური წევრები ასეთ ადამიანს შთააგონებენ, რომ აუცილებელია სექტის შეკრებებზე დასწრება და ღმერთისაგან მოწყალების მიღება. დროებითი სიძნელეებით დაშინებული ზოგიერთი ადამიანი სექტის გავლენის ქვეშ ექცევა.

სექტაში ახალი წევრების ჩათრევის ცალკეული შემთხვევების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ბაპტისტები რელიგიური თემების წევრთა რიცხვობრივ ზრდას ძირითადად ინდივიდუალური მუშაობის შედეგად აღწევენ, ხოლო სექტანტთა უმრავლესობა სექტაში ჩათრეულია იმ დროს, როდესაც ისინი ცხოვრებაში დროებითი ხასიათის ეკონომიკურ და მორალურ გასაჭირს განიცდიდნენ. აღნიშნულის დასამტკიცებლად მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი.

ბაპტისტთა სექტის ყოფილი წევრი, ქალაქ ტყვარჩელის მუშათა მომარაგების განყოფილების მემანქანე ა. ხარკოვსკი იგონებდა: „რამდენიმე წლის წინათ ჩემი ცხოვრება სასურველად ვერ წარიმართა. ნებისყოფის სისუსტის თუ სხვა გარემოებათა გამო, ლოთობა დავიწყე. ლოთობამ დამღუპველად იმოქმედა როგორც ჩემს მუშაობასა და ოჯახთან ურთიერთობაზე. ასევე ჩემს სულიერ წონასწორობაზე. ვგრძნობდი, რომ ლოთობას დაღუპვისაკენ მივყავდი, მაგ-

რამ მას შაინც ვერ ვანებებდი თავს. საკუთარი ძალებისადმი რწმენა თითქმის სრულიად დაკარგე და ახლა სასოებით ვისმენდი მხოლოდ სხვათა რჩევას, თუ როგორ დამეღწია თავი ალკოჰოლისაგან.

ასეთი სულიერი დაძაბულობის დროს გავიცანი ტარას თომას ძე ჩერნოვი. იგი წყნარი და კეთილი ჩანდა. მოთმინებით დამიწყო „ღვთიური სიტყვის“ შთაგონება, — იცოდე, რომ მარტოოდენ ზებუნებრივ ძალებს შეუძლია შენი შველაო, მეტყოდა ხოლმე იგი.

მე გულდასმით ვუსმენდი „ღვთის სახელით“ მოლაპარაკე ჩერნოვს და ჩემში ჩემდაუნებურად იზრდებოდა რწმენა, თითქოს მხოლოდ ღმერთს შეეძლო ჩემი ხსნა მძიმე მდგომარეობიდან, მალე მან შეძლო ჩემი სექტაში ჩათრევა“[1].

„სექტანტებს ომის დამთავრების შემდეგ გავეცანი კიროვაბადში, — მოგვითხრობს ყოფილი სექტანტი მ. სტეპანოვა, — ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავი მაშინ. ქმარი ფრონტზე დამეღუპა. დარჩენ მცირეწლოვანი ბავშვები. შევძლებ კი მათ აღზრდას. — ეს აზრი მოსვენებას არ მაძლევდა. დარდმა და ვარამმა კინალამ გადამიყოლა და სწორედ მაშინ შეძლეს სექტანტებმა ჩემი სექტაში ჩათრევა“.[2]

აღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ბაპტისტები მხოლოდ გასაჭირში მყოფ ადამიანებთან ატარებენ ინდივიდუალური ხასიათის მუშაობას. ისინი ბევრს მუშაობენ სექტაში ადამიანთა ჩათრევის შემდეგ მათში რელიგიური ფანატიზმის განსამტკიცებლად.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბაპტისტი იდეოლოგები სათანადო ყურადღებას უთმობენ ზორწმუნეთა მიერ სექტაში ახალ წევრთა ჩაბმის ორგანიზაციას, სათანადოდ ასაბუთებენ ისინი ამ მუშაობის ჩატარების აუცილებლობას. ბაპტისტი-პრესვიტერები სექტის წევრებს უნერგავენ რწმენას, რომ თუ ისინი „სწორ გზაზე დააყენებენ სხვებს“, ამით მოიპოვებენ ღვთის სიყვარულს. „სწორ გზაზე დაყენება“ სექტაში ახალი წევრების ჩათრევას ნიშნავს. აღნიშნულის გამო სექტის ყველა წევრი თავის მოვალეობად თვლის ასეთი სახის მუშაობის ჩატარებას. ეს მუშაობა ატარებს ორგანიზებულ ხასიათს. თუ სექტის რომელიმე წევრი ინდივიდუალურად მუშაობს, ამის შესახებ იციან სექტის ხელმძღვანელებმა და მისმა აქტიურმა წევრებმა და ისინი კონსულტაციას უწევენ მას. გარდა ამისა, სექტის თითქმის ყველა თემს ჰყავს თავისი „შტატიანი“ და „გამოცდილი“ აგიტატორები — სექტის აქტიური წევ-

---

[1] წყვდიადიდან სინათლისაკენ, თბ., 1961, გვ. 16.

[2] იქვე.

რები, რომლებიც ამ მხრივ დახელოვნებული არიან: „სწორ გზაზე“ ჰყავთ დაყენებული რამდენიმე ადამიანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სექტაში ახალი წევრების ჩათრევის საშიშროება საკმაოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის.

ყოველი სექტანტის მიერ სექტანტური იდეოლოგიის ფართო პროპაგანდა და სექტაში ახალ წევრთა ჩათრევაზე ზრუნვა თავისთავად გულისხმობს სექტანტის მიერ პირველ რიგში მისი ოჯახის წევრებისა და ოჯახთან ახლო მდგომ ნათესავთა ჩაბმას სექტაში. ბაპტისტი ვალდებულია სექტის წევრებად აქციოს თავისი ოჯახის ყველა წევრი. ბაპტისტები ამ მოთხოვნას ოფიციალურად არ აყენებენ სექტის წევრების წინაშე, მაგრამ ფაქტიურად მას ყველა ახორციელებს. თავისთავად ცხადია, რომ ბაპტისტ პრესვიტერთა მიერ ადამიანების „სწორ გზაზე დაყენების“ ოფიციალური მოთხოვნა, პირველ რიგში, გულისხმობს ოჯახის წევრებსა და ოჯახთან ახლო მდგომ ადამიანებს.

სექტის წევრთა პირადი ცხოვრების შესწავლა ადასტურებს, რომ თუ მან ვერ მოახერხა მისი ოჯახის წევრების ან ახლობლების სექტაში ჩათრევა, მაშინ იგი ყოველგვარი სახის ურთიერთობას წყვეტს მათთან, უწოდებს ყოველ მათგანს „ანტიქრისტეს“.

ქალაქ თბილისში მცხოვრებმა პელაგია ივანეს ასულმა ბიკოვამ ყველა ხერხს მიმართა, რათა სექტის გავლენის ქვეშ მოექცია თავისი ოჯახის წევრები, მან ნაწილობრივ მიაღწია კიდევაც სასურველ შედეგს, თავისი ორი შვილი აქტიურ სექტანტებად აქცია. მაგრამ როდესაც ქმრის „მორჯულება“ ვერ შესძლო, გასცილდა ამ „ანტიქრისტეს“, დაანგრია ოჯახი[3].

მსგავსი შემთხვევები ხშირია, რაც მიუთითებს სექტანტებისა და სექტის ხელმძღვანელთა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაზე.

იმის გამო, რომ სექტის ხელმძღვანელები სავალდებულოდ ხდიან სექტანტების, მიერ ოჯახის ყველა წევრისა და ახლობლის სექტაში ჩათრევას, ხშირად ბაპტისტთა რელიგიურ თემებში გაერთიანებული არიან მთელი ოჯახები. ეს გარემოება ხელს უწყობს სექტანტობის „მემკვიდრეობით“ გადაცემას, სექტაში გაერთიანებულ ადამიანთა ნათესაური კავშირის შენარჩუნებას და აძნელებს სექტანტობის წინააღმდეგ წარმოებულ მუშაობას. ხშირია შემთხვევები, როდესაც სექტანტთა ოჯახები „მემკვიდრეობით“ არიან ამ იდეოლოგიის მიმდევრები.

---

[3] წყვდიადიდან სინათლისაკენ, თბ., 1963, გვ. 40.

ადამიანებს, რომლებმაც იწამეს ბაპტისტთა „რელიგიის სიწმინდე“ და „ჭეშმარიტება“, უფლება აქვთ იარონ მათ შეკრებებზე, მონაწილეობა მიიღონ ჩატარებულ რელიგიურ დღესასწაულებში და შესარულონ რიტუალები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არ ითვლებიან სექტის წევრებად. ბაპტისტები მათ „დაახლოებულებს“ უწოდებენ.

სექტაში მოხვედრის შემდეგ ახალმა წევრმა უნდა გაიაროს ეგრეთ წოდებული საკანდიდატო სტაჟი, საჭიროა დაამტკიცოს თავისი ერთგულება სექტისადმი, ხოლო სექტის ხელმძღვანელები უნდა დარწმუნდნენ მის ერთგულებაში — მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ახალი წევრის სექტაში მიღება-მონათვლა.

ბაპტისტთა სექტის წევრად მიღების საკანდიდატო სტაჟი საკმაოდ ხანგრძლივია. არ არის რაიმე დაკანონებული ვადა, მაგრამ, როგორც წესი, ეს დრო ორ-სამ წელიწადს გასტანს ხოლმე, რაც სრულიად საკმარისია ახალ წევრთა შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის.

სექტის წევრად ოფიციალურად მხოლოდ ისინი ითვლებიან, რომლებიც მიიღებენ „წყლით ნათლობას“. ბაპტისტთა რელიგიური ორგანიზაციისათვის ეს რიტუალი ძირითადია და მისი მიზანია მონათლული წევრი სექტის სრულუფლებიან წევრად გააფორმოს, კონტროლი გაუწიოს სექტის წევრთა რაოდენობას.

ბაპტისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქრისტიანული რელიგიის ამ წესის შესრულებას, ამასთან, ნათლობის ბაპტისტურ გაგებასა და ჩატარების ცერემონიალს ერთადერთ ჭეშმარიტ რიტუალად თვლიან. ისინი ნათლობას ატარებენ მდინარეებში, ტბებში, ზღვებსა ან ბაპტისტერიებში[4]. მას შემდეგ, როდესაც „დაახლოებული პირი“, ანუ „შინა კაცი“ დაიშვება საჯარო მონანიებაზე, რომელიც სრულდება სამლოცველო სახლში, გუნდი ასრულებს საზეიმო გალობას. ახალბედას არიგებენ სექტის უხუცესი წევრები, ერთხელ კიდევ მოაგონებენ მას თავის უფლება-მოვალეობას. შემდეგ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალბედა მიდის წყალში მდგომ პრესვიტერთან, რომელიც სამჯერ ჩააყურყუმალავებს მას წყალში. მონათლული მუხლს იყრის პრესვიტერის წინაშე. ეს უკანასკნელი აღაპყრობს ხელებს და წარმოთქვამს შემდეგ ადგილს სახარებიდან:

---

4 ბაპტისტერიად იწოდება სამლოცველო სახლის ის ნაწილი, სადაც ნათლობა ტარდება. ქალაქ თბილისის ბაპტისტთა სამლოცველო სახლს ბაპტისტერია არა აქვს.

„და განიყუანნა იგინი გარე ვიდრე ბეთანიამდე, და აღიპყრნა ხელნი თვისნი, და აკურთხა იგინი“ (ლუკა, 24-50). ასეთი სახის ცერემონიალი ბაპტისტებთან ითვლება მონათვლად. ბაპტისტთა სექტის სახელწოდებაც წარმოდგება ამ რიტუალიდან, კერძოდ სიტყვა „ბაპტიზდენ“ ბერძნული სიტყვაა და „წყალში განბანვას“, „ჩაყურყუმელავებას“ ნიშნავს.

ბაპტისტი იდეოლოგები ცდილობენ თეორიულად დააბუთონ ნათლობის რიტუალის აუცილებლობა. გავაანალიზოთ ამ საკითხზე მათი მსჯელობა. წყლით ნათლობას — აღნიშნავენ ბაპტისტები — წინ უნდა უსწრებდეს სულიწმიდითა და ცეცხლით ნათლობა. ნათვლა სულიწმიდის მეშვეობით ნიშნავს ქრისტეს მოძღვრების შეგნებას. როცა პიროვნება ქრისტეს მოძღვრებას აითვისებს, ირწმენს ყველა ბიბლიისეული ზღაპრის ჭეშმარიტებას, შეიძლება მისი სულიწმიდით ნათვლა. ხოლო ამ აქტით კავშირი მყარდება ადამიანის ნამდვილ ბუნებასა და ღმერთს შორის.

ცეცხლით ნათლობა ნიშნავს რწმენის სიმყარეს, სიმტკიცეს. საქმე რწმენის მიღებით არ მთავრდება. საჭიროა ამ რწმენის გამაგრება, მისი აყვანა უმაღლეს საფეხურზე. ისე როგორც ცეცხლი არის მწველი, ასევე ქრისტესადმი ნებაყოფლობითი თავშეწირვის რწმენა უნდა იყოს მტკიცე და მწველი (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფანატიკური). სულიწმიდითა და ცეცხლით ნათლობის შემდეგ უნდა მოხდეს წყლით ნათლობა.

სულიწმიდისა და ცეცხლით ნათლობის „თეორიული დასაბუთება“ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არის მოგონილი, რომ გაამართლონ ახალი წევრის საკანდიდატო სტაჟი, უფრო სწორად, ადამიანთა რელიგიური „დამუშავება“, ხოლო მას შემდეგ, როცა ადამიანი მიიღებს სულიწმიდითა და ცეცხლით ნათლობას, მან უნდა გაიაროს წყლით ნათლობა[5]. „მაშინ მოვიდა იესო გალილეაით იორდანე და იოანესა ნათლისღებად მისგან... და ვითარცა აღმოხდეს წყლით, სული წმინდა მოვიდა საჭურისა მას ზედა, და სულმან უფლისაგან წარიტაცა[6]“. სახარების აღნიშნული ადგილების დამოწმებით ბაპტისტები ცდილობენ ნათლობა ერთადერთ ჭეშმარიტებად გამოაცხადონ და ეარყონ ის გაგება და ჩატარების წესი, რასაც მართლმადიდებლები და კათოლიკეები ქადაგებენ.

მაშასადამე, ბაპტისტები ნათლობამდე მოითხოვენ პირადი რწმენის ჩამოყალიბებას მორწმუნეებში — ნათლობას წმინდა სულითა და

[5] „ბრატსკი ვესტნიკი“, 1946, № 5, 25.

[6] ახალი აღთქმა, თბ., 1963, მათე, 39, 11.

ცეცხლით. ასეთი რწმენა არ შეიძლება ჰქონდეთ მცირეწლოვანთ, რადგან მათ არ შესწევთ უნარი მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება, საჭიროების შემთხვევაში შეცვალონ თავიანთი გადაწყვეტილება და ა. შ. ამიტომ, 18 წლის ასაკამდე ნათლობა არ ტარდება. აქ გასაკვირი არაფერიაო — ამტკიცებენ ბაპტისტები, — ქრისტე საკმაო ასაკისა იყო, როდესაც მოინათლა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ჭკვიანი და გონიერი იყოო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაპტისტი „თეორეტიკოსების" მტკიცებით, ნათლობის ბაპტისტური გაგება მთლიანად ემყარება ბიბლიას და ამდენად იგი ჭეშმარიტია. სინამდვილეში ისინი ბიბლიიდან მხოლოდ მათთვის სასარგებლო ადგილებს იმოწმებენ. რაც შეეხება წინააღმდეგობრივი ხასიათის დებულებებს, რომლებიც ბიბლიაში უხვად გვხვდება, ბაპტისტები გვერდს უვლიან. ასე მაგალითად, ბიბლიის ერთ-ერთი ცენტრალური დებულება — „რომელსაც ჰრწმენეს და ნათელ იღოს, ჰცხონდეს, ხოლო რომელსაც არა ჰრწმენდეს, დაისაჯოს" — ეწინააღმდეგება ბაპტისტთა მიერ ნათლობის ინტერპრეტაციას.

შენიშვნაზე — თუ როგორ უნდა აიხსნას ბაპტისტერიაში ნათლობის ჩატარება, როდესაც ბიბლიაში ამის შესახებ არაფერი წერია (ბიბლიამ არ იცის, რა არის ბაპტისტერია), ბაპტისტები შემდეგნაირად პასუხობენ: საჭიროა თანამედროვე პირობების გათვალისწინება, ქრისტეს ტანსაცმლით რომ დავიწყოთ სიარული, სულელები ვეგონებითო და, რაც მთავარია, ბიბლიაში არსად არ სწერია, რომ ბაპტისტერიაში არ შეიძლება მონათვლაო. ასეთი „საბუთებით" ამტკიცებენ ბაპტისტები მათ მიერ წამოყენებულ დებულებათა ჭეშმარიტებას.

ამგვარად, ნათლობის რელიგიურ საიდუმლოებას ბაპტისტთა სექტის თემების ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. მისი ნამდვილი მიზანია სექტის წევრებში რელიგიური ფანატიზმის განმტკიცება, სექტაში ახალ წევრთა მიღება. ნათლობის რიტუალი მოწმუნე სექტანტის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერ დღედ ითვლება. ასეთი რიტუალის ჩატარება სექტის თემის დღესასწაულიც არის. ნათლობის საიდუმლოების განმარტებას დიდ ადგილს უთმობს ჟურნალი „ბრატსკი ვესტნიკი".

ბაპტისტი პრესვიტერები დიდ ყურადღებას აქცევენ რელიგიური თემების სიმტკიცეს, ორგანიზებულობას. მათ კარგად იციან, ვინ არის სექტის წევრი, სექტასთან დაახლოებული. ამიტომ, თუ ვინმე უცხო ადამიანი შემთხვევით ან სხვა მიზეზით მოხვდება ბაპ-

ტისტთა სამლოცველო სახლში, იგი საერთო ყურადღების ცენტრში ექცევა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სექტის აქტიური წევრები შას უხსნიან თავიანთი რელიგიის ძირითად შინაარსს, უთმობენ სამლოცველო სახლის საპატიო ადგილს — ქადაგების წარმოსათქმელად გამოყოფილ სპეციალურ ტრიბუნასთან და ა. შ.

ადამიანებზე ზემოქმედებისათვის შექმნილ რელიგიურ სისტემაში ბაპტისტების მიერ ნათლობის რელიგიური რიტუალის თავისებურ ინტერპრეტაციას ავსებს მათ მიერ რელიგიური მონანიების განსაზღვრება. მონანიების ბაპტისტური გაგების მიზანია კიდევ უფრო განამტკიცოს სექტის წევრებში რელიგიური რწმენა.

ბაპტისტი პრესვიტერების განმარტებით, მონანიება საუკეთესო საშუალებაა ღმერთსა და ადამიანებს შორის კავშირის დასამყარებლად. სექტანტები ცდილობენ ყველას ჩაუნერგონ რწმენა იმის შესახებ, რომ თუ ისინი მოინანიებენ ღმერთის წინაშე თავიანთი შთამომავლობის დანაშაულს, შეეევედრებიან და პატიებას სთხოვენ მას, მაშინ შეიძლება მათი გადარჩენა. ბაპტისტების მტკიცებით, ადამიანები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებენ სამუდამო ბედნიერებას, თუ გაითვალისწინებენ და ცხოვრებაში გაატარებენ მონანიების შემდეგნაირ (მათი განმარტებით ერთადერთ ჭეშმარიტ) გაგებას:

1. თავდაპირველად ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ იგი თავისი ბუნებით, წარმოშობით ცხოველია, არ არის განთვისუფლებული იმ ცოდვისაგან, რომელიც თავის დროზე ადამმა და ევამ ჩაიდინეს, რომ საჭიროა ზრუნვა ამ ცოდვისაგან თავის დასაღწევად.

ამის შემდეგ ადამიანს შეუძლია „ცოცხალი რწმენის“ შეძენა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი უკვე მორწმუნეა, მაგრამ სექტის სრულუფლებიანი წევრი ჯერ კიდევ არ არის. „ცოცხალი რწმენის“ მიღების დროს ადამიანები „დაახლოებულთა“ რიცხვს განეკუთვნებიან. „ცოცხალი რწმენის“ საბოლოო მომენტია ნათლობა, რომელიც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, სექტის წევრად გახდომას ნიშნავს.

2. მორწმუნის მონანიება „ცოცხალი რწმენის“ მიღებით არ მთავრდება. საჭიროა „ცოცხალი რწმენის“ შემდგომი განმტკიცება, რაც სულიწმიდის საშუალებით უნდა მოხდეს. სულიწმიდა უფლებას აძლევს მორწმუნეს კავშირი დაამყაროს ღმერთთან. მაგრამ ვის შეუძლია სულიწმიდის მიღება? მისი საშუალებით ღმერთთან კავშირის დამყარება? — მას, ვინც ფანატიკური მორწმუნეა. ის ადამიანი კი, რომელიც იოტისოდენა ეჭვს შეიტანს ღმერთის არსებობისა და სარწმუნოების ჭეშმარიტებაში, ვერ მიიღებს სულიწმიდის ძალას, ვერ დაუკავშირდება ღმერთს.

მაშასადამე, მონანიების მთავარი მიზანია ღმერთთან მორწმუნეების დაკავშირება, ხოლო დაკავშირების ძირითადი მოთხოვნაა ფანატიკური რწმენა. ამდენად, მონანიების ბაპტისტური გაგება ერთგვარად არის ნათლობის შესახებ მათი მსჯელობის გაგრძელება და იგი მიზნად ისახავს სექტაში გაერთიანებულ ადამიანებში ფანატიკური რელიგიური რწმენის განმტკიცებას.

ნათლობისა და მონანიების თავისებური ინტერპრეტაციით ბაპტისტები ცდილობენ უზრუნველყონ რელიგიური თემების ორგანიზაციული სიმტკიცე და სექტის წევრების რელიგიური რწმენის ფანატიზმი.

ორგანიზაციული სიმტკიცისათვის ზრუნვა განაპირობა ისტორიულმა პირობებმა ბაპტისტური რელიგიის ჩამოყალიბების პერიოდში. რელიგიური თემების ორგანიზაციული წყობა ბაპტისტებმა ძირითადად ანაბაპტისტებისა და კალვინისტური კონგრეგაციონალიზმისაგან აიღეს. ბაპტიზმის წარმოშობა XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციასთან არის დაკავშირებული. ამ პერიოდისათვის ინგლისის ბურჟუაზიამ ისეთ ეკონომიკურ სიძლიერეს მიაღწია, რომ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის დაიწყო ბრძოლა. ეს ბრძოლა ორ ათეულ წელს გაგრძელდა. თავდაპირველად გამარჯვებას ბურჟუაზიამ მიაღწია, მაგრამ სულ მალე ძალაუფლება ისევ სტიუარტებმა დაიბრუნეს, რასაც ფეოდალური აბსოლუტიზმის რესტავრაცია მოჰყვა. დამარცხებული ბურჟუაზია იძულებული გახდა ინგლისიდან ჰოლანდიაში გაქცეულიყო და პოლიტიკური პროტესტისათვის რელიგიური ფორმა მიეცა.

სამშობლოდან გაქცეული ბურჟუაზიის წარმომადგენლები იძულებული იყვნენ დაეცვათ მკაცრი კონსპირაცია, ეზრუნათ ემიგრაციაში მყოფი გაერთიანების ორგანიზაციული სიმტკიცისათვის. ასეთ ისტორიულ პირობებში შემუშავდა ბაპტისტთა რელიგიური დოგმატიკა, რამაც თავისი დაღი დაასვა მის შინაარსსა და ხასიათს.

თანამედროვე პირობებში ბაპტისტ პრესვიტერებს დღითი დღე უძნელდებათ მუშაობა. ადამიანებისათვის მიუღებელია ბაპტისტთა. მოძღვრება რელიგიური სწავლების ჭეშმარიტების შესახებ. ამიტომ, ისინი იძულებულნი არიან მიმართონ ადამიანთან მუშაობის ახალ მეთოდებსა და ფორმებს, ყოველგვარი საშუალება და ხერხი გამოიყენონ, რათა უზრუნველყონ ერთგულ ადამიანთა მოქცევა სექტაში. და სექტის წევრთა რელიგიურობის მაღალი დონე.

მორწმუნეთა რელიგიური დამუშავების ხერხებს შორის ამ ბოლო დროს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია „საყოველთაო

სიყვარულის“ ბაპტისტური გაგებას, რომელიც მოიცავს, ერთი მხრივ, სექტის წევრებს შორის ურთიერთობას და, მეორე მხრივ, — სექტანტებსა და სხვა ადამიანებს შორის ურთიერთობას.

ბაპტისტების აზრით, სექტის წევრებს შორის უნდა იყოს „და-ძმური“ დამოკიდებულება, ვინაიდან ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა სექტის წევრებს შორის განხორციელებული სიყვარული. სექტანტებს კი ერთმანეთი მაშინ ეყვარებათ, თუ ერთნაირი შეხედულებები ექნებათ, კერძოდ, მათ არავითარი ეჭვი არ უნდა შეიტანონ ბაპტისტური რელიგიის ჭეშმარიტებაში.

ზემოაღნიშნული მტკიცების მიზანი ის არის, რომ რელიგიური ორგანიზაციის თემებმა ცხოვრებაში პრაქტიკულად განახორციელონ სექტანტთა შემჭიდროება სამლოცველო სახლების იერგვლივ, მიიღონ სექტაში ახალი წევრები — ამ მიზნით ისინი ეხმარებიან რელიგიური თემის წევრებს, უბედური შემთხვევის დროს იზიარებენ მათ ვარამს, ზოგჯერ ეკონომიურად დახმარებასაც უწევენ მათ.

ქალაქ თბილისში ბაპტისტთა რელიგიური თემების პრესვიტერთა მითითებით ამ თემების ხელოსნები საჭიროების შემთხვევაში უსასყიდლოდ ეხმარებიან სექტის წევრებს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ხასიათის საქმეების შესრულებისას.

როგორ უნდა იქნეს შეფასებული ბაპტისტთა მსჯელობა სექტის წევრებს შორის „საყოველთაო სიყვარულის“ არსებობის შესახებ? როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაპტიზმი თანამედროვე, XX საუკუნის რელიგიაა. ამ სექტის თეორეტიკოსები თავიანთ მოძღვრებას თანამედროვეობის გათვალისწინებით აგებენ. სწორედ ამიტომ „ჩამოიყვანეს“ მათ ღმერთი ზეციდან და იგი ადამიანებს შორის არსებულ სიყვარულად აქციეს.

თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების ეპოქაში ძნელია დაარწმუნო ადამიანები იმ ტრადიციული არგუმენტებით, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში იყენებდა იდეალიზმი და თეოლოგია. საჭიროა ამ საკითხის შესაბამისი მოდერნიზმი, ბაპტისტები სწორედ ასე იქცევიან. ისინი ცდილობენ ადამიანებს საგნობრივად დაანახვონ ღმერთის არსებობა, მისცენ მას კონკრეტული ფორმა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა კლასიკური გერმანული ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ლუდვიგ ფოიერბახის ფილოსოფიურ შეხედულებათა კრიტიკის საფუძველზე დაასაბუთეს, რომ ღმერთის როგორც სიყვარულის გამოცხადება ღმერთის არსე-

ზობის დასაბუთების ახალი ცდაა, რომელიც ისევე უნაყოფოა, როგორც ღმერთის არსებობის დასაბუთებისათვის იდეალიზმისა და თეოლოგიის მიერ წამოყენებული სხვა არგუმენტები — რომ ადამიანებს შორის სიყვარულის დამყარება იმ საზოგადოებაში, სადაც მტრულად განწყობილი კლასები, სხვადასხვა სოციალური ჯგუფები არსებობს, შეუძლებელია.

რაც შეეხება ბაპტისტი პრესვიტერების მიერ „საყოველთაო სიყვარულის" რელიგიური გაგების ცხოვრებაში გატარებას, ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ბაპტისტები ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში ნამდვილად ცდილობენ ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებას, მაგრამ საბოლოოდ მათი მიზანია რელიგიური თემების გამტკიცება, სექტის წევრების რიცხობრივი ზრდა. ბაპტისტთა რელიგიის არსი ეწინააღმდეგება ამ პრინციპის შინაარსს.

ამასთანავე, ქ. თბილისში მოქმედი ბაპტისტთა რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობა ადასტურებს, რომ „საყოველთაო სიყვარულის" ზოგადზნეობრივი მოთხოვნა ხშირად ეწინააღმდეგება სექტანტების მიერ ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას. სექტის მესვეურებს თავიანთ „დებად" და ძმებად" მიაჩნიათ სექტის წევრები, თუ მათ შეუძლიათ სამსახური გაუწიონ სექტას. ხოლო როდესაც ისინი თავიანთი ფიზიკური მდგომარეობით გამოუსადეგარი ხდებიან სექტისათვის, მათზე აღარ ზრუნავენ.

ბაპტისტი თეორეტიკოსები „საყოველთაო სიყვარულის" პრინციპს მარტო სექტანტებს შორის ურთიერთობის საფუძვლად როდი მიიჩნევენ, ისინი მას, საერთოდ, ადამიანებს შორის ურთიერთობის მარეგულირებელ, უნივერსალურ მნიშვნელობას ანიჭებენ; მათი მტკიცებით „საყოველთაო სიყვარული" უნდა დამყარდეს ადამიანებს შორის, მიუხედავად მათი სოციალური, კლასობრივი თუ ეროვნული მდგომარეობისა. ბაპტისტთა IX მსოფლიო კონგრესმა სპეციალურად განიხილა აღნიშნული საკითხი და მოუწოდა მსოფლიოს ხალხებს „საყოველთაო სიყვარულის" დამყარებისაკენ. „ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს ხალხებს — წერდნენ ბაპტისტები — მორწმუნეებს და არამორწმუნეებს, დაამყარონ ერთმანეთს შორის ბაპტისტური „საყოველთაო სიყვარული". „საყოველთაო სიყვარულის" თეორიული დასაბუთებისათვის ბაპტისტებს მოჰყავთ კოლაელთა მიმართ წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეს შემდეგი სიტყვები: „სადა-იგი არა არს წარმართ, და ჰურია, წინადაცუეთილობა, და წი-

ნადაუცუეთელობა, ბარბაროს, სკვითელ, მონება, აზნაურება, არა-მედ ყოვლად ყოვლსა შინა ქრისტე".[7]

ბაპტისტები კიდევ უფრო ავითარებენ თავიანთ დებულებას „საყოველთაო სიყვარულის" შესახებ. მას უმატებენ ბიბლიის მცნებას — „არა კაც ჰკლა". მათი განმარტების თანახმად, თუ „საყოველთაო სიყვარულს" დაუმატებთ „არა კაც ჰკლას" პრინციპს და მსოფლიოს ხალხები ამ პრინციპის მიხედვით იცხოვრებენ, მაშინ გადაიჭრება ყველა საერთაშორისო ხასიათის დავა, თავიდან იქნება აცილებული მომავალი მსოფლიო ომის საშიშროება და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული ზოგიერთი ბაპტისტური რელიგიური თემის ხელმძღვანელები გამოდიან ომის წინააღმდეგ. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ ლონისძიებებში, იბრძვიან მშვიდობის შენარჩუნებისათვის. სწორედ ამ კატეგორიის პრესვიტერთა რიცხვს განეკუთვნებოდა ბაპტისტი პრესვიტერი მარტინ ლუთერ კინგი. მაგრამ თვით მარტინ ლუთერ კინგის ტრაგიკულმა ბედმა ცხადყო ბაპტისტური „საერთო სიყვარულის" მცდარობა.

„არა კაც ჰკლა" თუ თავს დაგესხა მტერი, „არა კაც ჰკლა" თუ კაპიტალისტი შენს შრომას ითვისებს, ასეთია ბაპტისტური „საყოველთაო სიყვარულის" პოლიტიკურ-კლასობრივი მხარე. იგი რეაქციულია და მიუღებელია ადამიანებისათვის.

თავისუფლების, სიყვარულისა და ერთიანობის დამყარებისათვის არსებობს ერთადერთი გზა — წარმოების საშუალებებზე საერთო-სახალხო საკუთრების დამყარება. სხვა ყველაფერი, მათ შორის ბაპტისტთა მოძღვრება „საყოველთაო სიყვარულსა" და ერთიანობაზე ყალბია.

ასეთია ბაპტისტების „საყოველთაო სიყვარულის" შინაარსი და მისი ნამდვილი არსი. როგორც ყველა სხვა ბაპტისტური პრინციპის მიზანი, ასევე „საყოველთაო სიყვარულის" პრინციპის მიზანიც არის სექტის წევრთა რელიგიურობის მაღალი დონის მიღწევა, სექტის გავლენის ქვეშ რაც შეიძლება მეტი ადამიანების მოქცევა და იმის დამტკიცება, რომ ბაპტიზმი სხვა ქრისტიანულ რელიგიებს შორის თითქოს ყველაზე უფრო პროგრესულია.

სათანადო ყურადღებას უთმობენ ბაპტისტები სექტანტური დოგმატების პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების დამუშავებას. აქედან პირველ რიგში აღსანიშნავია ქადაგებანი.

---

7 ახალი აღთქმაი, თბ., 1963, 482, 3—11.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მოქმედ ბაპტისტ თემთა ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას უთმობენ ქადაგებათა შინაარსს. ისინი ხელმძღვანელობენ სახარებისეულ ქრისტიან ბაპტისტთა საკავშირო საბჭოს ინსტრუქციებით, დარიგებებითა და გადაწყვეტილებებით. ჩვენ მიერ ქადაგებათა ჩანაწერების ანალიზიდან ნათელი გახდა შემდეგი:

ქადაგებანი პოპულარული ხასიათისაა, ისინი დაბალი განათლების ადამიანებისათვის გასაგებია (სექტანტთა უმრავლესობას დაბალი განათლება აქვს). ქადაგებანი რელიგიურ დღესასწაულებსა და წეს-ჩვეულებებს, აგრეთვე სხვა ორგანიზაციულ საკითხებსაც ეხება. ბევრი ქადაგება ეძღვნება სექტის წევრთა ქცევის ნორმებსა და სექტანტური ზნეობის პრინციპების დასაბუთებას.

ქადაგებებში უხვად არის გამოყენებული შედარებები და ეპითეტები. ასე მაგალითად: ადამიანში რწმენის ჩასახვა და მისი თანდათანობით გაღრმავება შედარებულია შენობის აგებასთან. როგორც შენობის აგების დროს პირველად საძირკველს ჰყრიან, ასევე რწმენის ჩასახვისათვის საჭიროა მისი მიღება, მისთვის საფუძვლის ჩაყრა. როგორც შენობა შენდება თანდათანობით, ხოლო შემდეგ კი შიგნით და გარეთ მოპირკეთდება და გალამაზდება, ასევე უნდა იზრუნონ მორწმუნეებმა თავიანთი რწმენის გაღრმავებისათვის.

არამორწმუნე ადამიანი, ბაპტისტი იდეოლოგების შედარებით, მოგვაგონებს მიწის იმ გატკეპნილ ნაწილს, რომელიც გზად არის გამოყენებული. თუ ადამიანის ფეხი ისე ტკეპნის მას, რომ იქ მცენარე აღარ ხარობს, საჭიროა ამ მიწის დამუშავება[8]. ასევეა ურწმუნო ადამიანი. საჭიროა მისი დამუშავება, საჭიროა მას მოვუწოდოთ ცხოვრების ერთადერთი მიზნის განხორციელებისაკენ — ღმერთის რწმენისაკენ. ყველა ადამიანმა, მათი მტკიცებით, უნდა იწამოს ღმერთი და იცხოვროს ისე, როგორც მორწმუნეები ცხოვრობენ, რადგან ისინი წარსდგებიან ღმერთის წინაშე, სადაც მათ ანგარიშის ჩაბარებას მოსთხოვენ.

მორწმუნეებზე ემოციური ზეგავლენის მოსახდენად დიდი ყურადღება ექცევა გალობებს, გალობათა ტექსტებისა და მუსიკის შედგენას, რელიგიური ლექციებისა და თქმულებათა დეკლამირებას. სახარებისეულ ქრისტიან-ბაპტისტთა კრებულებში სასულიერო გალობა შეადგენს ღვთისმსახურების მნიშვნელოვან ნაწილს[9].

---

8 ჟურნ. „ბრატსკი ვესტნიკი", 1954, № 1, 32.

9 „ბრატსკი ვესტნიკი", 1947, № 5, 21.

სასიმღერო მასალად ბაპტისტები იყენებენ დავითის გალობას, ღვთისმშობლის ქებათა-ქებას და ა. შ. ამასთან ერთად, ბაპტისტებს აქვთ მართლმადიდებლური და კათოლიკური რელიგიებისაგან განსხვავებული ტექსტები და სიმღერები.

ბაპტისტთა ლექსებისა და სიმღერების პირველი კრებული გამოიცა 1882 წ. ქალაქ თბილისში, საერთო სახელწოდებით „გოლოს ვერი". კრებული გამოსცა ნ. ვორონინმა[10].

1892 წ. მოსკოვში გამოვიდა ანალოგიური ხასიათის კრებულები. ბაპტისტთა გალობებისა და სიმღერების შექმნისა და გამოცემის საქმეში დიდი მუშაობა გასწია ცნობილმა ბაპტისტმა ი. პროხანოვმა. მან რამდენჯერმე გამოსცა (1902, 1907, 1918, 1924 წლებში) ბაპტისტთა ლექსები და გალობანი საერთო სახელწოდებით „სასულიერო სიმღერები" მასში შევიდა 1237 სიმღერა. სიმღერების ამ კრებულს მორწმუნენი „დეხიატისქორნიკის" სახელწოდებით იცნობენ. კრებული შედგება 10 სხვადასხვა ნაწილისაგან (წიგნისაგან).

1927 წ. ლენინგრადში გამოიცა დიდი სანოტო კრებული სამ ტომად, რომელიც ყველა ჰიმნს შეიცავს. ამის შემდეგ ბაპტისტებმა განახორციელეს სასულიერო ჰიმნთა კრებულის რამდენიმე გამოცემა.

ბაპტისტთა რელიგიური სიმღერების მოტივებად რელიგიურ ჰიმნებთან ერთად უხვად გამოიყენება საბჭოთა კომპოზიტორებისა და ხალხური პოპულარული მუსიკის მოტივები. ამის შესახებ სექტანტები ამბობენ: „მელოდია უნდა იყოს რელიგიური, მაგრამ შეიძლება ისეთი მელოდიების გამოყენებაც, რომლებიც შეესატყვისება რელიგიურ ლექსებს და იმოქმედებს სულის განწყობილებაზე, მის სიფაქიზეზე[11].

ცდავა, რომ გალობათა ტექსტებისა და მისი მუსიკის შერჩევის ბიზანია მორწმუნეზე ემოციური ზემოქმედება.

ბაპტისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ორგანიზაციულ საკითხებს. „ღმერთი ამჟამად ანგარიშს უწევს არა პიროვნებას, არამედ ორგანიზაციას", — აი, მთავარი ლოზუნგი, რომლითაც მოქმედებენ ბაპტისტთა ხელმძღვანელები, პრესვიტერები, უფროსი პრესვიტერები.

ბაპტისტები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მიაღწიონ ორგანიზაციულ სიმტკიცეს. რომელიმე თემში რაიმე გაუგებრობის ანდა რაიმე სადავო საკითხების მოსაგვარებლად იგზავნებიან გამოც-

---

10 „ბრატსკი ვესტნიკი", 1947, № 5, 21.

11 „ბრატსკი ვესტნიკი", 1948, № 5, 25.

დილი პრესვიტერები და უფროსი პრესვიტერები. ხშირია სახარებისეულ ქრისტიან ბაპტისტთა სრულიად საკავშირო საბჭოს წევრებისა და „გამოჩენილი“ ბაპტისტების მივლინებები სსრკ-ის ტერიტორიაზე მოქმედ თემებში. ისინი ზედამხედველობას უწევენ ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობას, ატარებენ საჩვენებელ შეკრებებს, წყვეტენ დავას თემებში და ა. შ.

ჟურნალ „ბრატსკი ვესტნიკში“ სისტემატურად იბეჭდება უფროსი პრესვიტერების ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ, თემის ხელმძღვანელთა ანგარიში თემში ჩატარებული მუშაობისა და ამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და ა. შ.

თემზე პასუხისმგებელია თემის პრესვიტერი, რომელსაც ფორმალურად ირჩევს თემის საბჭო, სინამდვილეში პრესვიტერად ინიშნება ზემდგომი ორგანოების მიერ რეკომენდებული პირი. პრესვიტერად არჩევა არ ნიშნავს ამ უკანასკნელის არჩევას სექტის სრულუფლებიან ხელმძღვანელად. საჭიროა პრესვიტერის ხელთდასხმა (ანუ კურთხევა). ხელთდასხმა ხდება მას შემდეგ, როცა პრესვიტერი დაიმსახურებს ნდობას უფროსი პრესვიტერის წინაშე, მაშასადამე, როცა ბაპტისტთა ხელმძღვანელობა დარწმუნდება სექტის ხელმძღვანელის ერთგულებაში, ამის შემდეგ აკურთხებენ მას.

მაშასადამე, ბაპტისტებს სექტაში ადამიანების ჩათრევისა და სექტის წევრების რელიგიურობის რწმენის განმტკიცების მისაღწევად დახვეწილი, სისტემატიზებული ხასიათის, მოფიქრებული მეთოდები და ფორმები აქვთ.

ბაპტისტთა რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის დადგენის დროს საჭიროა ამ ფორმებისა და მეთოდების ცოდნა, რადგან მოწინააღმდეგის დამარცხებისათვის აუცილებელია იცნობდე იმ საშუალებებს, რომელთაც ის იყენებს.

ბაპტიზმის წინააღმდეგ წარმოებული მუშაობის დროს უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „ქალიშვილების გამხრწნელი კათოლიკე ხუცესი... გ ა ც ი ლ ე ბ ი თ ნ ა კ ლ ე ბ ა დ საშიშია სწორედ „დემოკრატიისათვის“, ვიდრე უანაფორო ხუცესი

რომელიც ფეოფალას შეეშვნას და შენებას ქადაგებს. ეს იმიტომ, რომ პირველი ხუცესი ა დ ვ ი ლ ა დ შეიძლება ამხილო, დაგმო და გააგდო, — მეორე კი არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ასე იოლად გააგდო, მისი მხილება 1000-ჯერ უფრო ძნელია“[12].

---

[12] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 114.

საბჭოთა ადამიანები წარმატებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. მათთვის უცხოა ყოველგვარი სახის რელიგია. მათ კარგად ესმით, რომ როგორადაც არ უნდა იქნეს „შეკაზმული“ და შელამაზებული რელიგიური შეხედულებანი, იგი მხოლოდ ზიანს მოუტანს ადამიანებს.

ГЕГЕЩИДЗЕ Д. В.

НЕКОТОРЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ ИЗУЧЕНИЯ РАБОТЫ БАПТИСТОВ

(на примере Грузинской ССР)

Резюме

В статье на примере изучения деятельности религиозных общин евангел-христиан баптистов, функционирующих на территории Грузинской ССР, излагается характер, формы и методы работы баптистов, ставятся задачи для улучшения научно-атеистической работы среди сектантов.

ი. ჩხარტიშვილი

საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნის გავრცელება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში და მისი როლი რელიგიური შეხედულებების დაძლევაში

XIX საუკუნის II ნახევარში საბუნებისმეტყველო მეცნიერება განვითარების ახალ საფეხურზე ადის. ამას ადასტურებს უჯრედის აღმოჩენა, ჩ. დარვინის ევოლუციური თეორია, ი. სეჩენოვის, ი. პავლოვის, ი. მეჩნიკოვისა და მრავალი სხვა აღმოჩენა, რომლებმაც გამოააშკარავეს სამყაროს შესახებ რელიგიური წარმოდგენების უსაფუძვლობა და დაამტკიცეს ბუნების განვითარების მეცნიერული ახსნის შესაძლებლობა. აღნიშნულმა გარემოებამ დიდი როლი ითამაშა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, რადგანაც... „лишь действительное познание сил природы изгоняет богов или бога из одной области вслед за другой“[1].

საკვლევი პერიოდის ათეისტური მოძრაობის თავისებურება სწორედ იმაში გამოიხატა, რომ ანტირელიგიური ბრძოლის საშუალებები საბუნებისმეტყველო მეცნიერების მონაცემებით შეივსო. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩ. დარვინის ევოლუციურ მოძღვრებას., რომელიც ბიოლოგიური მეცნიერების საფუძველი გახდა. ჩ. დარვინმა, როგორც დიდმა რევოლუციონერმა და ნოვატორმა, დაამსხვრია მეცნიერებაში არსებული მცდარი რელიგიურ-იდეალისტური შეხედულებები ორგანულ ბუნებაზე და გზა გაუკაფა მეცნიერული ბიოლოგიის განვითარებას XIX და XX საუკუნეებში[2].

ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „დარვინმა ბოლო მოუღო შეხედულებებს ცხოველებისა და მცენარეების სახეებზე, როგორც

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XX, с. 633.

[2] გ. პაპალაშვილი, ჩარლზ დარვინის მეცნიერული მემკვიდრეობა და მისი შემდგომი განვითარება, თბ., 1961, გვ. 11.

სრულიად დაუკავშირებელ, შემთხვევითს, „ღვთის გაჩენილ“ და უცოდველ მოვლენებზე, და პირველად დააყენა ბიოლოგია სავსებით მეცნიერულ ნიადაგზე, დაამტკიცა რა სახეთა ცვალებადობა და თანმიმდევრობა მათ შორის. . .“[3]

ჩ. დარვინმა მეცნიერულად დაასაბუთა ევოლუციური მოძღვრება და წამოაყენა ბუნებრივი შერჩევის თეორია, რომელიც ევოლუციური პროცესის მატერიალისტურ ახსნას იძლეოდა. მისმა მატერიალისტურმა დასკვნებმა, რომლებიც უპირისპირდებოდა რელიგიურ-მეტაფიზიკურ შეხედულებებს ცოცხალი ბუნების შესახებ, გადატრიალება მოახდინა არა მარტო ბიოლოგიაში, არამედ დიდი როლი ითამაშა ათეიზმის განმტკიცების საქმეშიც. მიუხედავად იმისა, რომ ჩ. დარვინის ნაშრომები არ შეიცავდნენ რელიგიის პირდაპირ კრიტიკას, ბიოლოგიური სახეების წარმოშობისა და განვითარების დარვინისეულმა ახსნამ ეჭვქვეშ დააყენა სამყაროს წარმოშობის რელიგიურ-იდეალისტური გაგება[4].

ჩ. დარვინის ევოლუციური მოძღვრება საზოგადოების პროგრესული ძალების ერთ-ერთი საიმედო საშუალება გახდა თვითმპყრობელობის ოფიციალური რელიგიურ-იდეალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. დარვინის მოძღვრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბუნებაზე მატერიალისტური და ათეისტური შეხედულებების დამკვიდრების, უფრო მოგვიანებით კი მარქსიზმის გავრცელების თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, თვითმპყრობელობის ინტერესების სადარაჯოზე მდგომი მართლმადიდებლური ეკლესია ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებებით უშლიდა ხელს ჩ. დარვინის ევოლუციური მოძღვრების გავრცელებას, რომელსაც ბუნების თეოლოგიურ ახსნას უპირისპირებდა. მაგრამ ეკლესია ამით არ კმაყოფილდება, უწმინდესი სინოდი მეფის მთავრობასთან ერთად სულ უფრო და უფრო აძლიერებს ბუნებისმეტყველების საკითხებზე დაწერილი წიგნებისა და სტატიების დევნას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩ. დარვინის წიგნებზე ვრცელდება, კერძოდ, მისი „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი შერჩევა“ ცენზურის მიერ აკრძალულ იქნა.

მიუხედავად დარვინიზმის წინააღმდეგ მიმართული ცდებისა, იგი ფართოდ იკიდებდა ფეხს რუსეთში. მოწინავე რუსმა მეცნიერებმა არა მხოლოდ აითვისეს დარვინიზმი, არამედ გან-

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, 1953, გვ. 153.

[4] Естествоиспытатели и атеизм, М., 1973, с. 7.

ვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს. ამის დამადასტურებელია ა. კოვალევსკისა და ი. მეჩნიკოვის მიერ ბიოლოგიის სრულიად ახალი დარგის — ევოლუციური ემბრიოლოგიის შექმნა. განუსაზღვრელად დიდი იყო რელიგიურ-იდეალისტური შეხედულებების დაძლევის თვალსაზრისით ი. სეჩენოვის გამოკვლევათა მნიშვნელობა. ი. სეჩენოვი, ევოლუციურ თეორიაზე დაყრდნობით, ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე პროცესების მეცნიერულ ახსნას იძლეოდა. გენიალურ ნაშრომში „თავის ტვინის რეფლექსები" ი. სეჩენოვმა დაამტკიცა, რომ ფსიქიკა მაღალორგანიზებული მატერიის—ტვინის თვისებაა. ' ი. სეჩენოვის გამოკვლევათა ათეისტური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს რომ მან უარყო რელიგიური და იდეალისტური წარმოდგენები სხეულისაგან დამოუკიდებელი სულის არსებობის შესახებ. მისმა მატერიალისტურმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელ მოწინავე მოაზროვნეთა მსოფლმხედველობაზე[5].

დარვინიზმის ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტები რუსეთში, რომლებმაც სწორად გაიგეს და შეაფასეს ევოლუციური მოძღვრება, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები იყვნენ. დარვინიზმი ბუნებისმეტყველების სხვა მონაპოვრებთან ერთად პროგრესული ძალების საიმედო საშუალებად გადაიქცა და XIX საუკუნის რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის საყრდენი გახდა.

ბუნებისმეტყველებაში მომხდარმა ძვრებმა გავლენა მოახდინა აგრეთვე ქართველ განმანათლებელთა ათეისტურ მსოფლმხედველობაზე, რაც სათანადოდ აისახა ქართულ დემოკრატიულ პერიოდულ პრესაში.

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პერიოდული პრესა ფართო პროპაგანდას უწევს საბუნებისმეტყველო ცოდნას, დარვინის ევოლუციურ თეორიაზე დაყრდნობით აკრიტიკებს ბუნების თეოლოგიურ გაგებას, რომელსაც ბუნების მეცნიერულ ინტერპრეტაციას უპირისპირებს.

დარვინიზმის პირველი პროპაგანდისტები საქართველოში საკუთარი პერიოდის მოწინავე მოაზროვნეები იყვნენ. მათ შორის კი ერთ-ერთი პირველთაგანი — ანტონ ფურცელაძე.

დარვინიზმის იდეები გაატარა ანტონ ფურცელაძემ ჟურნალ „მნათობში" 1871 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ჩვენი ჭკუის ძალა". ამ მოძღვრებიდან იგი ხსნიდა უბრალო ორგანიზმებიდან რთული ორგანიზმების განვითარების პროცესს თვით მოაზროვნე

[5] И. Иванов, Распространение естественно-научных знаний и их роль в преодолении религиозных предрассудков, М., 1972, с. 19.

ადამიანამდე, ამ მოძღვრებაში ეძებდა იგი ადამიანის სულის წინა-ისტორიას, შრომის საფუძველზე ადამიანის განვითარების საფეხურებს[6].

„ივერიაში“ დაიბეჭდა გიორგი დეკანოზიშვილის წერილების სერია საერთო სათაურით „დარვინის ევოლუციური თეორია“. წერილის ავტორი მოგვითხრობს ბუნებისმეტყველებაში მომხდარ ძვრებზე და იმ დიდ როლზე, რომელსაც იგი (ბუნებისმეტყველება) XIX საუკუნეში თამაშობდა. „საჭიროა მივმართოთ თვით ცოცხალ ბუნებას, — წერს გ. დეკანოზიშვილი — იმ უმთავრესს ძალას, რომლის ნაწილს შეადგენს თვით ადამიანი და მხოლოდ ამ ბუნების შეგნება აგვიხსნის მრავალ გაუგებარ საიდუმლოსა, ბუნების შესწავლამ, ანუ ბუნებისმეტყველებამ, პირველი ადგილი დაიჭირა მეცხრამეტე საუკუნეში“[7].

ათეიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის შეხედულება იმის შესახებ, რომ „მეცნიერებაში, მეტადრე ისეთში, — წერს გ. დეკანოზიშვილი, — როგორიც არის ბუნებისმეტყველება, სარწმუნოება განდევნილია“[8].

შემდეგ ავტორი ყურადღებას ამახვილებს დარვინის მოძღვრებაზე და მისგან გამომდინარე შედეგებზე, რის შესახებაც წერს: „დარვინმა დაგვიხატა, რარიგად წარმოიშობიან ორგანიზმების ფორმები, რითი გამოირჩევა ცხოველის ფორმა უსულო ფორმისაგან და რა ადგილი უჭირავს ბუნებაში ორგანიზმებს. ამით მან საშინელი ნესტარი დაჰკრა კაცობრიობის გონებას და აამოძრავა იგი; არც ერთს სწავლას არა ჰყავდა და ეხლაც არა ჰყავს იმდენი მომხრენი და იმდენი მოწინააღმდეგენი, რამდენიც დარვინიზმს. მომხრეებმა მისი თეორია ევოლუციისა შეაფარდეს და მოიხმარეს ბიოლოგიაში, ფსიქოლოგიასა, ზნეობასა, სოციოლოგიასა, სარწმუნოებაში და სხვ. მოწინააღმდეგეებმა კი სცნეს უზნეო თეორიად, რომელიც არღვევს ყოველგვარ ზნეობრივ და საზოგადოებრივ საფუძველს“[9].

წერილის ბოლოში გიორგი დეკანოზიშვილი სწორად განსაზღვრავს ჩ. დარვინის მოძღვრების მნიშვნელობას და იმ პერიოდისათვის საკმაოდ გაბედულად დაასკვნის: „შეიძლება გუშინ მტკიცე რწმენანი ბუნების მოვლენათა შესახებ დღეს შეარყია დარვინის თეორიამ, შეიძლება მრავალი მოვლენა გამოუკვლეველი დარჩა, შე-

---

[6] გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 324.

[7] „ივერია“, 1896, № 83.

[8] იქვე.

[9] „ივერია“, 1897, № 97.

ძლება ეს თეორია არ აკმაყოფილებდეს ადამიანის განუსაზღვრელს მისწრაფებას, მაგრამ ის რთული პროცესი, რომელიც გაგვითვალისწინა დარვინმა, უეჭველად უნდა ჩავთვალოთ ნამდვილ, ჭეშმარიტ, უტყუარ ფაქტად და ბუნებისმეტყველების უმაღლესს პროგრესად"[10].

დარვინიზმის გავრცელების ერთ-ერთ საშუალებად იმ პერიოდში მატერიალისტური შეხედულებების პროპაგანდა ითვლებოდა. იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაბეჭდილი მრავალი წერილი ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის მეცნიერულ-მატერიალისტური ახსნის ცდას წარმოადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის წერილები

გ. წერეთელი შეგნებული მატერიალისტი იყო, რომელიც თავის მატერიალისტურ შეხედულებათა დასაბუთებას ბუნებისმეტყველების მონაცემებზე დაყრდნობით ცდილობდა[11].

„დროებაში" დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ქვეყანაზე არაფერი არ მოხდება უმიზეზოდ და შემთხვევით; იმას მართავენ მტკიცე და შეუცვლელი კანონები, როდესაც ამ კანონებს გამოვიკვლევთ, მაშინ ყოველგვარი მოვლენების ახსნა ადვილი იქნება. მეცნიერების დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შეიტყოს და გამოიკვლიოს ეს შეუცვლელი კანონები, რომელნიც თვით ბუნებაში არიან და სხვადასხვა მოვლენებს მოახდენენ"[12].

1902 წლის გაზეთ „კვალში" წერილების სერია ბუნებისმეტყველების საკითხებზე გამოაქვეყნა ანონიმმა ავტორმა, რომელიც ყურადღებას უმთავრესად ჩ. დარვინის ევოლუციურ მოძღვრებაზე ამახვილებს, პოპულარიზაციას უწევს მას და მკითხველებს ამ მოძღვრების პრაქტიკულ და თეორიულ მნიშვნელობაზე ესაუბრება. იგი აღნიშნავს: „გასული საუკუნის ნახევრიდან გამეფებულია ორი ძლიერი თეორია, ძლიერი როგორც თავისი მეცნიერული ხასიათით, აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობით. ორივე ეს თეორია გახდა კაცობრიობის უფრო ცოცხალი და გატაცებული ნაწილის ლამპარი. ერთი მათგანი შეეხება საზოგადოებრივ მოვლენებს, ხოლო მეორე ბუნებისმეტყველებას. ეს მეორე არის დარვინიზმი. . .

დარვინის სახელთან დაკავშირებულია რაღაც მძლავრი აზრი, მძლავრი პრინციპი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც

---

10 „ივერია", 1897, № 97.

11 ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 131.

12 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, გვ. 75.

თეორიული, ისე პრაქტიკული. დარვინის თეორია ანუ დარვინიზმი არის მეთოდი, კვლევის ხერხი, რომელიც დღეს ერთნაირად საჭალ-დებულია, როგორც ბუნებისმეტყველისათვის, ისევე ისტორი-კოსისათვის, იურისტისათვის და მორალისტისათვის. არც ერთი დარგი ადამიანის გონებრივი მიმდინარეობისა არ დარჩენილა დარ-ვინიზმის გავლენის გარეშე"[13].

დიდი წვლილი შეიტანა ათეიზმის განვითარების ისტორიაში აღნიშნული პერიოდის უდიდესმა წარმომადგენელმა ნიკო ნიკოლა-ძემ, რომელმაც ბუნებისმეტყველებაზე დაყრდნობით გაბედული ათეისტური დასკვნები გააკეთა.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდ-ებლად არსებული ბუნება მთლიანია და თავის განვითარებაში ემყა-რება შინაგან ობიექტურ კანონზომიერებას და არა გარეშე ძალას[14]. ამას ნ. ნიკოლაძე შემდეგნაირად გამოხატავს: „ბუნება ერთია, ყოველი მისი მოვლინება ერთ და იგივე უმთავრეს ბუნების კანონს ემორჩილება და მისგან იღებს თავის ძალას და სიცოცხლეს"[15].

ათეიზმის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა „საქართველოს მოამბეში" დაბეჭდილი დიმიტრი ყიფიანის მიერ ნათარგმნი მიტჩელის წერილი ასტრონომიის საკითხებზე.

მიტჩელი ყურადღებას ამახვილებს მეცნიერების დანიშნულე-ბაზე და მის დიდ როლზე. წერილის ავტორის აზრით, მეცნიერება ეხმარება ადამიანს ბუნების კანონების სწორად გაგებაში. აღნიშნულ წერილში ადამიანის გონება გამოცხადებულია ისეთ უსაზღვრო ძა-ლად, რომელიც არაფრის წინაშე ქედს არ იხრის, დღითი-დღე მი-იწევს წინ და თავის წინსვლაში ერთიმეორეზე ამარცხებს სამყაროს საიდუმლოებებს, იმეცნებს ბუნების კანონებს და ამით აფართოებს ბუნებაზე თავისი ბატონობის არეს, მეცნიერება — ნათქვამია ამ წე-რილში — დღითი-დღე წინ მიდის და მუსრავს იმ ბასტიონებს, რომ-ლებიც ადამიანს ბორკავენ და გასაქანს არ აძლევენ. იმდენად დიდია ამ წერილის თანახმად მეცნიერების როლი ადამიანის ცხოვრებაში, რომ თუ არა მეცნიერება, ადამიანი ვერ მიაღწევდა თანამედროვე ეფგომარეობას და დარჩებოდა ბუნების მოვლენათა სამარადისო მო-ნად.[16]

---

13 „კვალი", 1902, № 18.

14 გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 324.

15 ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 41—45.

16 ვ. გაგოიძე, საქართველოს მოამბე, თბ., 1966, გვ. 124.

ათეიზმის თვალსაზრისით აუცილებლად გასათვალისწინებელია გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებული ცნობილი პუბლიცისტის რომანოზ ფანცხავას (ფხა) წერილების სერია ბუნებისმეტყველების საკითხებზე. ჩვენ რომანოზ ფანცხავაზე უკვე გვქონდა საუბარი სხვა წერილში[17] და მასზე კვლავ ყურადღების გამახვილება ზედმეტად მიგვაჩნია.

ზემოაღნიშნული წერილების როლი განუსაზღვრელად დიდი იყო რელიგიის დაძლევის საქმეში, რადგანაც ისინი ემიჯნებოდნენ სამყაროსა და ბუნების რელიგიურ გაგებას, ხელს უწყობდნენ ბუნების მოვლენათა მეცნიერულ ახსნას, ეშვქვეშ აყენებდნენ ბევრ რელიგიურ დოგმას. სწორედ ამაში გამოიხატა აღნიშნული პერიოდის მოწინავე მოაზროვნეთა ანტირელიგიური მეშკვიდრეობის დადებითი მნიშვნელობა. მაგრამ აღნიშნული წერილების ავტორებმა მაინც ვერ დაძლიეს XIX საუკუნის საბუნებისმეტყველო მეცნიერების მექანისტური და მეტაფიზიკური ხასიათი და ვერ ამაღლდნენ დიალექტიკურ მატერიალიზმამდე. მათი შეზღუდულობა უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ მათ ახასიათებდათ: «Яростное стремление свести все к механическому движению, когда шла речь о живой природе, и обращались к нематериальному фактору «жизненной силы», когда надо было объяснить живое»[18].

მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი გაბედული კრიტიკისა, მაინც ცნელია იმის მტკიცება, რომ ისინი თანმიმდევრულ მატერიალისტურ და ათეისტურ პოზიციებზე იდგნენ. როგორც მარქსიზმ ლენინიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ: «Атеизм является отрицанием бога и утверждением бытия человска»[19].

ЧХАРТИШВИЛИ И. Н.

РАСПРОСТРАНЕНИЕ ЕСТЕСТВЕННО-НАУЧНЫХ ЗНАНИЙ В ГРУЗИИ ВО II ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА И ИХ РОЛЬ В ПРЕОДОЛЕВАНИИ РЕЛИГИОЗНЫХ ВЗГЛЯДОВ

Резюме

В конце XIX века естествознание ознаменовалось новыми большими успехами. Об этом говорят открытие клетки,

17 იხ. რელიგიისა, ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, თბ., 1980, გვ. 14—20.

18 К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 29, с. 503.

19 К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, М., 1956, с. 598.

эволюционная теория Дарвина, открытия И. Сеченова, И. Тимирязева, И. Павлова и многих других, выявивших несостоятельность религиозных представлений и доказавших возможность научного объяснения природы. Данное обстоятельство сыграло большую роль с точки зрения борьбы против религии.

Происшедшие в естествознании перемены оказали значительное влияние на атеистическое мировоззрение грузинских просветителей. Одной из особенностей атеистического движения исследуемого периода является широкое использование в атеистической пропаганде естественнонаучных данных. Особую роль в распространении естественнонаучных знаний сыграла грузинская демократическая периодическая пресса, ведущая антирелигиозную пропаганду с естественно-научных позиции и противопоставляющая теологическому объяснению природы ее научное объяснение.

На основе анализа напечатанных на страницах грузинской периодической прессы II половины XIX века материалов, данный труд ставит целью определить роль и место антирелигиозного наследия публицистов прошлого века в истории развития грузинской общественной мысли.

---

3. ფოფელია

ივ. გომართლის ათეისტური შეხედულებანი

ჩვენი ახლო წარსულის გამოჩენილი ადამიანი ივ. გომართელი სამწერლო მოღვაწეობას იწყებს XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. მისი ფილოსოფიური და ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა ამ ბოლო წლებში, ცოტათ თუ ბევრად, შესწავლილია, მაგრამ მისი ათეისტური მოღვაწეობა, ჯერჯერობით, შეუსწავლელია.

ივანე გომართელი ერთი პირველთაგანი იყო საქართველოში, ვინც თავისი სამეცნიერო წერილებითა და მხატვრული ნაწარმოებებით, 1905 წლიდან მოყოლებული 30-იან წლებამდე, სისტემატურად ილაშქრებდა რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, რელიგიას უპირისპირებდა მეცნიერებას, ცდილობდა ხალხი გაერკვია რელიგიისა და ათეიზმის მნიშვნელოვან საკითხებში: განმარტავდა და თვალნათლივ ხსნიდა ღმერთის, ქრისტესა და ქრისტიანობის წარმოშობის მიზეზებს. ბიბლიიდან მოტანილი მაგალითებით არჩევდა იქ მოცემულ წინააღმდეგობებს, ააშკარავებდა რელიგიის ყალბ, ანტიმეცნიერულ მტკიცებას, რომ ყველაფერი ამ ქვეყნად ღვთისაგანაა და მისი ნებისაგან გამომდინარეობს. ამას იგი მაშინ ჩადის, როდესაც რეაქციის წლებში რელიგია და იდეალიზმი დიდ სამსახურს უწევდა მეფის დამჭაშებს მშრომელი მასების დასამონებლად. ამ პერიოდში ივ. გომართელი გვევლინება ნამდვილ მებრძოლ ათეისტად.

ივ. გომართელი პირველი იყო ჩვენში, ვინც, მატერიალისტურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ლექცია-საუბრებს ატარებდა ათეისტურ თემებზე. იგი ბუნებისმეტყველების უახლოეს აღმოჩენათა საფუძველზე, რელიგიასა და მეცნიერებას ერთმანეთს უპირისპირებდა და ამით ცდილობდა თვალნათლივ დაენახვებინა ხალხისათვის თუ რამდენად ცრუ იყო რელიგიური წარმოდგენანი ბუნების შესახებ: რომ რელიგია სიბამდვილეს, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს ასახავს დამახინჯებული ფანტასტიკური სახით.

ივ. გომართელი, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ვალდებულად თვლიდა თავს არ ყოფილიყო გულგრილი შეუგნებლობის, უმეცრებისა და რელიგიური რწმენისადმი. ყოველ თავის ლექციასა და სტატიაში იგი იყო მატერიალისტი, რელიგიის მტერი.

ივ. გომართელი ხალხს განუმარტავდა, რომ ბუნების ყოველი მოვლენა თავისთავად კი არ ხდება, არამედ მას იწვევს რაიმე მიზეზი. ასე, მაგალითად, არ შეიძლება მოვიდეს წვიმა, ატყდეს ჭექა-ქუხილი და ელვა, თუ ღრუბლები არ არის; ბალახი ან პურის ჯეჯილი არ შეიძლება ამოვიდეს, თუ მიწაში არ იქნება ჩაგდებული მათი თესლი: არ შეიძლება უმიზეზოდ გახდეს ავად ადამიანი. ბუნების ყოველ მოვლენას აქვს თავისი მიზეზი, ყოველი მოვლენა დაკავშირებულია სხვა მოვლენასთან.

ცრუმორწმუნეობა წარმოიშვა შორეულ წარსულში, როდესაც ადამიანის გონება ჩაფლული იყო შეუცნობლისა და აუხსნელის სიბნელეში; როდესაც ადამიანი მუდამ შიშს განიცდიდა ბუნების გაუგებარი და შემზარავი მოვლენების — ჭექა-ქუხილის, ელვის, ქარიშხლისა და მიწისძვრის წინაშე. ცრუმორწმუნეობა შიშის პირმშოა. ყველაფერი, რის ახსნაც ადამიანმა ვერ შეძლო ,მას სასწაულად, საიდუმლო მოვლენად ესახებოდა და ცრუმორწმუნეობრივი შიში იპყრობდა ამ მოვლენათა მიმართ.

ეს შიში იზრდებოდა ადამიანის უძლურებით ბუნების მრისხანე ძალების წინაშე. ველური ადამიანი უმწეო იყო ამ მრისხანე ძალებთან, ბუნება ჩაგრავდა მას თავისი ძლიერებით. მას ყველგან მტრული „საიდუმლო" ძალები ელანდებოდა.

ამრიგად, ადამიანმა შექმნა მიწისა და ცის, ცეცხლისა და წყვდიადის, წყლისა და ბალახის იდუმალი, უხილავი უფალნი. მის წარმოდგენაში თანდათანობით მთელი ბუნება აივსო სხვადასხვაგვარი სულებით: მდინარეებსა და ტბებში ცხოვრობდნენ წყლის სულები, ტყეში — ტყის სულები, ალქაჯები; მთებსა და გამოქვაბულებში — დევები და სხვა უხილავი სულები.

ადამიანი თაყვანს სცემდა მზეს, ქარს, ცეცხლს, ქვებს, ხეებს, ცხოველებს; შემდეგ მან შექმნა ღმერთების გამოხატულება ხატი, კერპი; სწირავდა მათ მსხვერპლს, სთხოვდა მოწყალებას და შველას

თავისთვის, ახლობლებისათვის: ეევედრებოდა სურვილთა შესრულებას, მტერთაგან დაცვას და სხვ[1].

ივ. გომართელმა რელიგიისა და მისი დამცველების წინააღმდეგ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 1905 წლის რევოლუციისა და მისი დამარცხების წლებში, როცა მან ამხილა რელიგიის რეაქციული არსი.

სამღვდელოების პროვოკატორული საქციელი ივ. გომართელმა თვალნათლივ დაგვანახა მის პიესაში „ეპისკოპოსის სიზმარი", რომელიც 1908 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ეშმაკის მათრახში" (№ 21—25, 27).

ამ პიესაში ივ. გომართელმა ნათლად გამოააშკარავა ქართული ეკლესიის მსახურთა მჭიდრო კავშირი მეფის ოხრანკის შავრაზმულ ორგანიზაციებთან.

პიესაში გამოყვანილი ეპისკოპოსები და ეკლესიის მსახურნი, რომლებიც ხალხს ჩამოშორდნენ და რევოლუციის მსვლელობას ამუხრუჭებდნენ, ცხრაასიანი წლების დასაწყისში მრავლად იყვნენ ჩვენში. მათ ხალხთა მასებში დაკარგეს ყოველგვარი რწმენა, ნდობა და სიყვარული.

ასეთმა გულსაკლავმა ვითარებამ აიძულა ივ. გომართელი ქართველი საზოგადოებრიობისათვის ემცნო სამღვდელოების შესახებ მწარე სინამდვილე.

1905 წლის 29 ივლისს გაზეთ „ივერიაში" (№ 130) დაიბეჭდა ივ. გომართლის წერილი: „რა გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება?"

ეს წერილი საბრალმდებლო განაჩენია სამღვდელოების მიმართ, ნიღაბს ხსნიდა მათ საქმიანობას.

ივ. გომართელი მოაგონებს სამღვდელოებას, რომ იგი მფარველი და პირველი მოსარჩლე უნდა ყოფილიყო ყველა ჩაგრულისა და ტანჯულისა: „სამღვდელოებას უნდა შეეკრიბა ხალხის დაჩაგრული ნაწილი, ამოდგომოდა მას გვერდში, გადაექცია ის გაერთიანებულ, შეგნებულ რაზმად და დაემყარებინა ქვეყნად ის სამოთხე, რომლისკენაც იწვევდა მას მქადაგებელი, მაგრამ სამღვდელოება პირიქით მოიქცა, როდესაც მან საკმაოდ მოიპოვა ძალა, თავის თავი ბატონად გამოაცხადა და იმ ხალხს, რომელიც მას უნდა გაენთავისუფლებინა მონობის მძიმე ტვირთისაგან, თვითონვე დააჭდა კის-

[1] საუბარი სარწმუნოების საკითხებზე, გაზ. „მებრძოლი ათეისტი", 1935, № 4—18.

ერზე, იმ ტანჯულებსა და ჩაგრულებს, რომლებისთვისაც მას უნდა მოეპოვებინა სიხარული და ბედნიერება, თვითონვე დაუწყო ტანჯვა და წვალება; იმ დამჩაგვრელებს, რომელთა წინაალმდეგაც მას უნდა წაეყვანა ხალხი, თვითონვე ამოუდგა გვერდში და დაუწყო სასტიკად დევნა ყველა მათ, ვინც ხალხის კეთილდღეობას ემსახურებოდა-ამით სამღვდელოებამ თვითონვე ჰკრა ხელი იმ სამოთხეს, რომლის დასამყარებლადაც შრომა და მოქმედება მას მქადაგებელმა უანდერძა, თვითონვე დაემონავა ეშმაკსა და შეუწყო ხელი ქვეყნად ჯოჯოხეთის განმტკიცებას. სამღვდელოებამ ევროპაში ყველაფერი თავის ხელში ჩაიგდო, ყველაფერზე გაბატონდა; ხალხის განათლება, ხალხის შეგნება, ცხოვრების წინმსვლელობა სრულებით შეაფერხა; ყოველგვარ თავისუფლებას, როგორც აზრისა, ისე მოქმედებისას ისეთი ბორკილები დაადგა, როგორიც მანამდე სიზმრადაც კი არავის ზმანებია; ისე დაიმონავა ყველა, რომ მეფეებიც კი ძრწოდნენ შიშით... დღეს კი სამღვდელოება მონაა ბიუროკრატისა და მისი მარჯვენა ხელი, ისე ასრულებს ბიუროკრატის ყველა მდაბალ სურვილებს; ბიუროკრატიასთან ერთად ის წინ ეღობება ხალხის გამოფხიზლებას, ხალხის შეგნებას, ხალხის განთავისუფლებასა და კეთილდღეობას ...დღევანდელი სამღვდელოება ბიუროკრატიის მონა და მოსამსახურეა; ის ხალხს კი არ ემსახურება, არამედ ბიუროკრატიას, და სწორედ აქ არის მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ხალხსა და სამღვდელოებას შორის ხიდი ჩატეხილია. სამღვდელოების განთავისუფლება ბიუროკრატიისაგან შეუძლებელია ისე, თუ მთელი ხალხი არ განთავისუფლდა. თუ არსებული რეჟიმი მთლად არ შეიცვალა... ამიტომ დროა — ამბობს ივ. გომართელი — სამღვდელოება ხალხს ამოუდგეს გვერდში, ხალხს დაეხმაროს მთელი თავის ძალღონით ბიუროკრატიის დამარცხებაში".

ივ. გომართლის ამ წერილმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სამღვდელოებაში. წერილს მაშინვე გამოეხმაურა დეკანოზი დავით ღამბაშიძე, რომელმაც ჟურნალ „მწყემსში" (1905 წ., 15 სექტემბერი, № 17, 18) მოათავსა საპასუხო წერილი ექიმი ივანე გომართელის სტატიის („რა გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება") გამო. ეს წერილი ისეთი უსუსური და არაფრის მთქმელი გამოდგა, რომ ივ. გომართლის მიერ ჩამოთვლილი ფაქტები ვერ დაარღვია, პირიქით, ივ. გომართლის დიდ ავტორიტეტს და ხალხში მოპოვებულ სიმპათიას ადასტურებდა:

...ექიმს იოანე გომართელს ჩვენში გლეხობა ისე ადიდებს და თაყვანს სცემს როგორც იოანე კრონშტატელს. იოანე გომართელ-

საც ისეთ სასწაულებრივ ექიმობას მიაწერენ სხვადასხვა მძიმე და მოურჩენელი სნეულებისას, როგორც იოანე კრონშტანტელს... რა თქმა უნდა, ამისთანა სასწაულმოქმედის ექიმის სტატიას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში და ამისათვის იძულებული ვართ მისი სტატიის გამო ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ და დაუმტკიცოთ გომართელის თაყვანისმცემლებს ამ სტატიის უსაფუძვლობა და არარაობაო"... და თან დასძენდა რომ გომართელს არა სწამს საიქიო, რასაკვირველია, არც ღმერთი „და ამიტომ არ არის საკვირველი, რომ იგი ღმერთისა და საიქიოს წინააღმდეგ ილაშქრებს".

ივ. გომართელმა 1905 წლის 27 სექტემბერს „ივერიაში" (№ 174) დაბეჭდა საპასუხო წერილი „პასუხი დეკ. ღამბაშიძეს", სადაც მოურიდებლად ეუბნება დეკანოზ ღამბაშიძეს, რომ „სამღვდელოება, რომელიც ღატაკი ხალხისათვის წამებულის ჯვარცმას გულზე ატარებს ღატაკი ხალხის მწამებელთ ამოდგომია გვერდით. მე საიქიო არა მწამს, მერე თქვენ რა კუჭი გეწვით? სამღვდელოებამ ქრისტეს მოძღვრებას გადაუხვია: ქრისტე ქადაგებდა თანასწორობას, სამღვდელოება კი წარმოადგენს იმგვარ წოდებას, სადაც სრული უთანასწორობა სუფევს — დაბალ მოხელეებს ჰშიათ, მაღალი მოხელეები კი ფუფუნებაში არიან, კარეტებით დასეირნობენ და თანასწორობასა და სათნოების მქადაგებელი ბერებიც კოზლაზე ჰყავთ ხოლმე წამოსკუპებული! მე ვუსაყვედურებ სამღვდელოებას: შენ არ დაადექი ქრისტეს გზას, არ შეუწყე ხელი თანასწორობის დამყარებას მეთქი... სამღვდელოება სიტყვით უნდა შებრძოლებოდა ყოველგვარ უსამართლობასა და ქვეყნიურ ბოროტებას. ამის მაგიერ სამღვდელოებამ დატანჯულ ხალხს ძილის პირის გალობა დაუწყო და არიგებდა: ამ ქვეყანაზე ყოველივე ამაოა, ნურაფერი ნუ გინდათ, ყველაფერი მოითმინეთ, ძალას დაემორჩილეთ, რადგანაც ის ღვთისაგან არის დაწესებული და სამაგიეროდ საიქიოს მოიპოვებ სამოთხესო. აი, ამაში ხედავს სამღვდელოების ღვაწლს მამა ღამბაშიძე".

თავის წერილს ივ. გომართელი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „არა, მამაო! ეს ღვაწლი კი არ არის, ეს არის ხალხის დაბრმავება, ხალხის აზროვნების ცრუ და მის დამღუპველ გზაზე შეყენება".

ივ. გომართელმა 1907 წელს „ნაკადულის" ფურცლებზე დაბეჭდა ასტრონომიის სფეროდან წერილი „სამეცნიერო საუბარი"[2]. ამ წერილმა ქუთაისის სასულიერო წოდების ორგანოს „შინაური საქმეების" გულისწყრომა დაიმსახურა. გაზეთის თანამშრომელი

---

[2] ჟურნ. „ნაკადული" (საყმაწ.), 1907, № 10.

ხეფე ველელი წერილის ავტორს — ივ. გომართელს — უკიჟინებს: „აქ რამდენი წინადადებაცაა, იმდენი შეცდომაა, სიცრუეა და სიმრუდე... ივ. გომართელის სულისკვეთებას შეადგენს დაამტკიცოს, რომ არ არის და არც საჭიროა იყოს არავითარი ღმერთი, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა". რაში ყოფილა თურმე ეს „სიცრუე და სიყალბე" — ამაზე პასუხობს ჟურნალ „განათლების" რედაქცია: „თურმე ქვეყნიერებაზე ყველაფერი ღვთის ძალით გაჩენილა, აღორძინებულა და რადგანაც ბ-ნი გომართელი ღმერთს, ამ ყოვლად შემოქმედს, ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს თავის სტატიაში, ამიტომ მისი სტატია ყალბი და სიცრუე ყოფილა"[4].

1908 წელს გაზეთებში „ჩვენი კვალი", „ჩვენი ქვეყანა" დაიბეჭდა ივ. გომართლის წერილები, ამჯერადაც „სამეცნიერო საუბრების" სახელწოდებით, რომელიც დედამიწის, ცხოველებისა და ადამიანის წარმოშობის საკითხებს ეხება. აქ ის, დარვინის ევოლუციური თეორიის საფუძველზე, ცხოველთა სამყაროდან ადამიანის წარმოშობას ამტკიცებს.

ცნობილია, რომ რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქციის შემოტევა იდეოლოგიურ ფრონტზედაც მიმდინარეობდა. ბურჟუაზიული მეცნიერები, მწერლები, ყოველნაირად „აქარწყლებდნენ" მარქსიზმს და პირველ რიგში მის ფილოსოფიურ საფუძვლებს: „დიალექტიკურ მატერიალიზმს მოძველებულ რამედ აცხადებდნენ, ხოლო რელიგიას ადამიანური სულის „უმაღლეს მიღწევად" აღიარებდნენ... იმისათვის, რომ მოეწამლათ ხალხის შეგნება, ჩამოეშორებინათ იგი რევოლუციური ბრძოლისაგან, ისინი ფართოდ ქადაგებდნენ ხუცობასა და მისტიკას, ხოტბას ასხამდნენ პესიმიზმსა და დაცემულობას, ნერგავდნენ გარყვნილობას[5]".

სწორედ ამ პერიოდში ივ. გომართელი თავის ფილოსოფიის ზოგად პრობლემებსაც ეხება და მატერიალისტურ პრინციპზე დგას. ამავე დროს მხურვალედ მონაწილეობს იმ იდეოლოგიურ დისკუსიებშიც, სადაც ქართველი მარქსისტები დიდ ბრძოლას ეწეოდნენ სხვა მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

მხცოვანი პედაგოგი ევსევი მიქელაძე იგონებს, რომ 1908 წელს „ქუთაისის თეატრის შენობაში ჩატარდა ლექცია „ტვინი და სული", იგი იდეალისტური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი აღიარებდა

---

3 გაზ. „შინაური საქმეები", 1908, № 1, გვ. 8—11.

4 ჟურნ. „განათლება", 1912, № 4, გვ. 309.

5 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1972, გვ. 182.

სულის ღვთაებრივ ძალას. ლექციის შემდეგ კამათში გამოვიდა ექიმი ივ. გომართელი, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა მომხსენებელი და მატერიალისტური თვალსაზრისით დაამტკიცა სულის არაარსებობა. ივ. გომართელის გამოსვლას მთელი დარბაზი ტაშის გრიალით შეხვდა. მეორე დღეს ადგილობრივი პრესა კრიტიკული წერილით გამოვიდა თეოლოგიურ-იდეალისტური ლექციის გამო, რომელიც ასე მთავრდებოდა:

> მაგრამ ვანო გომართელმა
> გადაუხსნა თავის ქალა
> და უჩვენა მომხსენებელს
> მისი „სულიერი ძალა"

ალბათ ეს ლექცია გახდა იმის საბაბი, რომ ივ. გომართელმა 1908 წ. გამოაქვეყნა თავისი გახმაურებული წიგნი „ტვინი და სული" (მეორედ გამოვიდა 1925 წ.). ამ წიგნმა გამოსვლისთანავე საზოგადოებაში დიდი ინტერესი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ახალსენაკელმა ბლაღოჩინმა კირილე ჯავახიამ — „სორტელი სტუმარის" ფსევდონიმით 1911 წ. ფოთში დაბეჭდა 56 გვერდიანი ბროშურა სათაურით: „ტვინი და სული" ბ. ივ. გ-ლის ლექციის გამო".

ავტორი გომართლის ნაშრომს „ტვინი და სული" მიიჩნევს როგორც „შურისძიების წიგნაკად უკვდავი სულისადმი და მეტი ღირსება მასზე არა შემიწერია რაო". შემდეგ განაგრძობს, რომ ივ. გომართელს პირადად იცნობს, პატივსა სცემს და აფასებს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია და დაუწერია, მაგრამ უხეიროდ აქვს შეტანილი საშობლოს საკურთხეველშიო. ერთ-ერთ უხეირო და მავნებელ ნაშრომად „ტვინი და სული" მიიჩნია, რადგან ამ წიგნში ათვალწუნებულია სარწმუნოება და ამ პატარა წიგნაკში თითქმის ოცდათორმეტჯერ არის ნახსენები, რომ სულის უკვდავების რწმენა სასულელია, არ არსებობს არავითარი სული; სამოთხე თავის ანგელოზებით და ჯოჯოხეთი ეშმაკებით მოჭორილი ზღაპარია, სულის არსებობას არავითარი საფუძველი არ აქვს, სულის არსებობას ნიადაგი გამოეცალა, არ არსებობს არავითარი საიქიო თავისი ტანჯვა-ნეტარებითო... და ბოლოს ავტორი სამართლიანად, მაგრამ გულისტკივილით ასკვნის, რომ ივ. გომართელის ლექციას სარჩულად სარწმუნოების მტრობა უძევს და სხვა მეტი არაფერიო.

ივ. გომართელი განმარტავს: სამღვდელოება რომ ქადაგებდა, ღმერთმა ცალ-ცალკე გააჩინა თევზი, ქვემძრომნი, ცხოველები, ფრინველები, მცენარენი და ადამიანიო, დარვინმა გამოააშკარავა სრული სიყალბე ასეთი შეხედულებისა და დაამტკიცა, რომ ერთი მოდგმა განვითარდა მეორისაგან, როგორც მცენარეთა, ისე ცხოველთა სამეფოში და ადამიანიც შედეგია ასეთი განვითარებისა უმდაბლესი ცხოველებიდან.

„დარვინმა უამრავი საბუთით დაამტკიცა, თუ როგორ ცვლილებას იწვევს ცხოველთა და მცენარეთა რიგებში არსებობისათვის ბრძოლა და ბუნებრივი შერჩევა. ამ რკინის კანონს ბუნებისას ვერც ადამიანი აიცდენდა თავიდან. ადამიანი ძველთაგანვე ისეთი კი არ გაჩნდა, როგორიც დღეს არის, არამედ თანდათანობით განვითარდა უმდაბლესი ცხოველიდან. ჩვენი წინაპრები არა ყოფილან ადამი და ევა, არამედ ცხოველები, რომლებიც ოთხზე დადიოდნენ და ენა არ იცოდნენ“[6].

ივ. გომართელი მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით განუმარტავს ხალხს, რომ სამყარო ღმერთის მიერ კი არ არის შექმნილი, როგორც ამას რელიგია ქადაგებს, არამედ როგორც მეცნიერება ალიარებს — ობიექტურად არსებული მატერიალური სინამდვილისაგან, მარტივიდან რთულისაკენ კანონზომიერი განვითარებით, დაბალი ფორმიდან მაღალი ფორმისაკენ, რომ ორგანული მატერია არაორგანული მატერიის განვითარების შედეგია.

1908 წ. ახალგამოსულ ჟურნალ „ალიონში“ (№1,2) ივ. გომართელმა დაბეჭდა სტატია — „როგორ გააჩინა ადამიანმა ღმერთი“. ეს წერილი ყუმბარასავით გასკდა, დიდი რეაქცია გამოიწვია რელიგიისა და ეკლესიის მსახურთა შორის. ივ. გომართელი ილაშქრებს იმ ცრუ შეხედულებების წინააღმდეგ, ვითომ იესო ქრისტე ქალწულ მარიამს ჩაესახა სულიწმიდის ზეგადმოსვლით: „არავითარი ხორციელი არ ისახება და არ იბადება ისე, თუ დედლის კვერცხს მამლის სპერმატოზოიდი არ შეუერთდა. ბუნებაში არსებობს განსაზღვრული კანონები, რომლებიც უცვლელად მოქმედებენ. ვთქვათ თავდაპირველად ეს წესრიგი და კანონები ღმერთმა დააწესა, მაგრამ რაკი ერთხელვე დააწესა, მათი შეცვლა და შეჩერება არავითარ ძალას, არავითარ ღმერთს აღარ შეუძლია, ამას გვიმტკიცებს ჩვენ ბუნების ყოველდღიური შესწავლა. ბუნების კანონები ქაღალდზე და-

---

[6] ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, გლეხის კარაბადინი. თბ., სახელგამი, 1928, გვ. 11, 13.

წერილ კანონებს კი არ წარმოადგენენ რუსეთის კონსტიტუციასავით, რომ მათმა დამწერმა მაშინ წაიღოს უკან და გააუქმოს, როცა ეს მას მოესურვება"—ირონიით დასძენს ივ. გომართელი, ეს კანონები თვით ნივთიერებაშია შედუღებული და მსოფლიოს ძირითად კუთვნილებას შეადგენს. აი ეს კანონები გვიმტკიცებენ, რომ ადამიანი ისახება მაშინ, როცა დედის კვერცხს — უჯრედს შეუერთდება მამის უჯრედი — სპერმატოზოიდი". ავტორი აღნიშნავს, რომ რელიგია ამართლებს კლასობრივ ჩაგვრას, იცავს მონობას, ასწავლის მშრომელებს შეეგუონ და შეურიგდნენ სიღატაკესა და გაჭირვებას:

„დღევანდელი საქრისტიანო სამღვდელოება ქრისტეს მიმდევარი კი არ არის, არამედ ფარისევლების, რომელთა წინააღმდეგ თავიდანვე იყო მიმართული ქრისტეს მოძღვრება. . . საქრისტიანოს ფარისევლებმა ქრისტეს მოძღვრება თავის გემოვნებაზე გადააკეთეს, საბრალო ხალხი კი დარწმუნებულია: სამღვდელოების პირით თვით ქრისტე ლაპარაკობსო. ქრისტე რომ ეხლა მოევლინოს ქვეყანას, ყველაზე უმალ მისი სახელის მატარებელი სამღვდელოება ამხედრდებოდა იმის წინააღმდეგ. . .

ისტორიამ არ იცის არც ერთი ხანა, როცა სამღვდელოება სინათლის მომხრე და გაჭირვებული ხალხის ჭირისუფალი ყოფილიყოს".[7]

ივანე გომართელმა საქვეყნოდ ამხილა, რომ რელიგია ქადაგებს მოთმინებას, ამქვეყნად აუტანელი ტანჯვის უყოყმანოდ გადატანას, რომ იგი სამართლიანად მიიჩნევს ადამიანის ბატონობას ადამიანზე, ამქვეყნიური აუტანელი ტანჯვისათვის მშრომელ მასებს პირდება იმქვეყნად განთავისუფლებასა და ბედნიერებას.

ამ სტატიისათვის ივ. გომართელი პასუხისგებაში მისცეს, გაზეთიც მაშინვე დახურეს.

1910 წელს ამ სასამართლოს პროცესს გამოეხმაურნენ გაზეთები „ფონი", „ჩვენი გაზეთი" და ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება"[8].

ივ. გომართელი 1910 წ. თებერვალში გაასამართლეს და 31 მაისს ჩასვეს მეტეხის ციხეში ერთი წლით, სადაც მწერალ შიხ. ჯავახიშვილთან ერთად იჯდა საკანში.

როგორც ჟურნ. „განათლების" რედაქცია გვაუწყებს „ბ-ნი ივ. გომართელი შარშან, როდესაც მთელი წლით დატუსაღებული იყო,

---

7 ჟურნ. „ალიონი", 1908, № 2.

8 გაზ. „ფონი", 1910, № 3, გვ. 7; ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1910, № 22; გაზ. „ჩვენი გაზეთი", 1910, № 50.

შეუდგა ასტრონომიის შესწავლას, რის შესახებ ქართულად არაფერი მოგვეპოვება; მან დასწერა მოკლედ და გარკვევით ვრცელი სტატია ამ საგანზე აწინდელის მეცნიერულის მეთოდისა და საუკეთესო მეცნიერთა შეხედულებების კვალობაზე. ეს ხელნაწერი მასალა მან წარუდგინა „ნაკადული"-ს რედაქციას დასასტამბავად. ყველა სიამოვნებით მიეგება ნაჭიერი ავტორის ამ ახალ ნაშრომს, რომელიც შედარებული და შემოწმებული იქნა საუკეთესო ასტრონომების ნაშრომებთან; ზოგმა ის აზრიც გამოთქვა, რომ ცალკე წიგნად დაბეჭდილიყო და პრემიად მისცემოდა „ნაკადული"-ს მკითხველებს, რადგანაც ასტრონომიის შესახებ ჩვენ აწინდელი მეცნიერების მოთხოვნილების კვალობაზე არაფერი გვაქვს; ბ-ნი გომართლის სტატია ყველასათვის გასაგებად დაწერილი საუკეთესო. სახელმძღვანელო იქნებოდა სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის, რომელნიც მოვალენი არიან როგორც მოწაფეებს, ისე ხალხსაც. გადასცენ მეცნიერთა შეხედულება ამ საჭირო საგანზე".

1928 წელს გამოვიდა ივ. გომართლის 400-ზე მეტ გვერდიანი წიგნი „გლეხის კარაბადინი". ამ წიგნმა მაშინვე დიდი პოპულარობა მოიპოვა და ყველა ოჯახში სამაგიდო წიგნად იქცა.

წიგნი იწყება „ადამიანის წარმოშობით" და პირველივე სტრიქონებიდან განმარტავს, რომ არავითარი ადამი და ევა არ ყოფილა და არც გაუჩენია არავისო. რაკი თქვენ უსწავლელები ხართ და ვერ ერკვევით საქმის ვითარებაში, ამიტომ მშრომელ ხალხს გატყუებდნენ მეფე და მისი მთავრობა ღვთისაგან არის დამტკიცებულიო. თქვენ გჯეროდათ და იყავით სულგანაბული. დედამიწაზე მეფე, ცაში ღმერთი, რომელიც მშრომელი ხალხის მტარვალს მფარველობს და წელში გაწყვეტილ მშრომელ ხალხს ფეხებს უბრაგუნებს; — ეს! თუ რამე გაბედე, ჯოჯოხეთში გიკრავ თავს! აი, ასეთი სისულელე გჯეროდათ, ასეთს ღმერთს ევედრებოდით, იმიტომ რომ არაფერი არ იცოდით". ამიტომ, გლეხი რომ განათლებული და შეგნებული ყოფილიყო, ამისათვის აუცილებელი იყო ფართო მასებში ცოდნის, განათლების შეტანა, რათა ყველა დაუფლებოდა წერა-კითხვას, ამისათვის კი საჭირო იყო დაუყოვნებლივ მოეხდინათ წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია. ივ. გომართელი აქაც გვერდში ამოუდგა ახალგასაბჭოებულ საქართველოს და მთელი თავისი შეგნებით

---

[9] ივ. გომართლის წიგნი „ასტრონომია" ცალკე წიგნად გამოვიდა თბილისში 1914 წელს. ეს არის მშობლიურ ენაზე პირველად დაწერილი ასტრონომიის სახელმძღვანელო.

[10] ჟურნ. „განათლება", 1912, № 4, გვ. 309.

ამ პრობლემის გადასაჭრელად გაწეულ სამუშაოს მესვეურთა ფერხულში ჩაება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე ივ. გომართელი თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში თანამშრომლობს — განსაკუთრებით კი „მიწის მუშა"-სა და „ახალ სოფელში", სადაც 1923 წლიდან რეგულარულად ბეჭდავს პოპულარულ სტატიებსა და მოთხრობებს ანტირელიგიურ თემებზე ავრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობისა და მედიცინის საკითხებზე. ამ გაზეთებში დაიბეჭდა მისი ანტირელიგიური მოთხრობები და წერილები: „დათიკას ბატკანი", „ნაძრახი ღელე", „ავადმყოფი", „ნიგვზარეთის ღვთისშობილი" (შემდეგ 1924 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად ოსკარ შმერლინგის მიერ დასურათებული); წერილები—„ქრისტე", „სული", „საიქიო", „ღმერთი", „აღდგომა", „ტვინი თუ სული", „სამოთხე", „ჯოჯოხეთი", „ქრისტეს აღდგომა ტყუილია"; გაზეთ „მებრძოლ ატეისტის" ფურცლებზე ბეჭდავდა წერილების სერიას „საუბარი სარწმუნოების საკითხებზე" და სხვ.

ЦОЦЕЛИЯ В. Е.

АТЕИСТИЧЕСКИЕ ВЗГЛЯДЫ И. Г. ГОМАРТЕЛИ

Резюме

С начала нашего века Иване Гедеонович Гомартели разрабатывал марксистскую философию, этику и эстетику, обосновывая их принципами материализма, сыграв тем самым большую роль в деле пропаганды и внедрения в Грузии марксистского мировоззрения. Он был одним из первых в Грузии, кто своими «научными письмами», рассказами, пьесами, начиная с 1905 по 1930-е годы включительно, систематически выступал как воинствующий атеист против религии и вредных обрядов.

В 1908 году в журнале «Алиони» № 1—2 была напечатана статья И. Г. Гомартели «Как человек создал бога?» Эта статья вызвала большое недовольство среди поборников религии и церкви. За эту статью И. Г. Гомартели был осужден на год и посажен в метехскую тюрьму. Журнал был закрыт, а редактор-издатель был оштрафован на большую сумму.

სარჩევი

გუგუტიშვილი მ.—საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა სეკულარიზაციის პროცესის კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლის ზოგიერთი შედეგი 3

Гугутишвили М. Г. — Некоторые результаты конкретно-социологического изучения процесса секуляризации рабочих и служащих производства (резюме) . . 22

მელიქსეთ-ბეგი — ათეისტური მუშაობა სექტანტებს შორის 1945—1975 წწ). . 24

Меликсет-Бег Л. Л. — Атеистическая работа среди сектантов (1945—1975 гг.) (резюме) . . . 35

გეგეშიძე დ. — ბაპტისტთა მუშაობის შესწავლის ზოგიერთი შედეგი 37

Гегешидзе Д. В. — Некоторые результаты изучения работы баптистов (резюме) . . . 54

ჩხარტიშვილი ი. საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნის გავრცელება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში და მისი როლი რელიგიური შეხედულებების დაძლევაში 55

Чхартишвили И. Н. — Распространение естественно-научных знаний в Грузии во II половине XIX века и их роль в преодолевании религиозных взглядов (резюме) 61

წოწელიავ. — ივ. გომართლის ათეისტური შეხედულებანი 63

Цоцелия В. Э. — Атеистические взгляды И. Г. Гомартели (резюме) 73

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატები თ. ფანჯიკიძე, გ. ჩხაიძე

ИБ 1888

რედაქტორი გ. ჯალაბაძე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
კორექტორი ზ. ომარაშვილი

გადაეცა წარმოებას 22.1.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.8.1982;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 4.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,6;

უე 00920; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1268;

ფასი 45 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19